წლიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 13 სექტემბერი 1915 წ. № 92

# საქართველო

ხელის მოწერა და [illegible] განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დაუვიწყარის პოეტის

## ვაჟა-ფშაველას
(ლ. რაზიკაშვილის)

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს 13 სექტემბ. დიდუბის ეკლესიაში.

## ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 14—21 ენკენისთვემდე

**ორშაბათი**—როგორც დიდი დღესასწაული არავითარი გასართობები არ იქნება
**სამშაბათი**—ოპერეტა.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი—ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ოპერეტა ქართულ ენაზე, წარმოდგენილი იქნება „ნატვრის თვალი“.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი—დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
**შაბათი**—**ქართული წარმოდგენა**. სპექტაკლის შემდეგ კონცერტი მომღერალ გუნდთა კავსაძის ლოტბარობით.
**კვირას**—სინემატოგრაფი—ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე, წარმოდგენა და სიმფ. კონცერტებისა საღ. 9 საათზე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

## თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის თანამდებობის აღმასრულებელი

სთხოვს თავადაზნაურთ მობრძანდნენ საგანგებო კრებაზედ ამ წლის 14 სექტემბერს 12 საათზედ დღისით, დეპუტატთა საკრებულოს შენობაში, ორის წარმომადგენელის ასარჩევად, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწ. საბჭოს წევრთა არჩევნებში თავადაზნაურთა საზოგადოებათაგან

## ქართველ ქალთა ამხანაგობის
### სახელოსნო სკოლაში
### 25 მარიამობისთვიდგან 15 ენკენისთვემდე

ამა წლისა, მიიღებენ მოწაფეთ 13 წლიდგან ვიდრე 16 წლამდე. საჭირო ცოდნა მხოლოდ ქართული წერა-კითხვისა.

აქვე, 1-ლ ენკენისთვიდგან მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. აგრეთვე ყოველ გვარ საკერავს: თეთრეულს და ნაქარგს. ვერა გაბაანთ ქუჩა № 3

12 ენკენისთვიდან იხსნება

## საქსოვის ქალთა სკოლა,

სადაც შეასწავლიან ყოველგვარ ფართლეულის (მატერიის) ქსოვას. კურსი წლიურია. თხოვნათა მიღება შეიძლება 20 ენკენისთვემდის სკოლის კანცელარიაში, იქვე მიიღება დაკვეთა ყოველნაირ მატერიისა.

მისამართი: ვერის დაღმართი, № 29. (8—3)

## გადაწერას საწერ მანქანის
**საშვალებით და საწერ მანქანაზე**
**მუშაობის სწავლებას**
**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**
## ი. თ. ვაათუას კანტორა
**ვერის დაღმართი № 1**
ტელეფონი 17—05

## დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა
## მამულაიშვილი
(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში
## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის
ქარხნები
## მ. ე. ლაღიძე და ამხ.
**თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.**

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან** ყოველთვის მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი**, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

სახელოსნოს ქუდებში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.

## ვკისრულობთ
გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სხვაგო
## ქუდები
სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო
## „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.
აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ბინგლს.
ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი
გოლოვინის პროსპ. № 39.

### მეხილეთა ამხანაგობა
## „ქართლი“

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამხანაგობის სავაჭრო სახლში (ძველი სემინარია, პუშკინის ბაღის პირდაპირ), იყიდება სხვა და სხვა ხილი უმაღლესი ხარისხისა. სამკურნალო ყურძენი „შასლა როზ“ და „შასლა დორე“, ვაშლი, მსხალი და სხ.

## ტფ. ქართულ ფილარმონიული საზოგადოების
სამუსიკო სკოლა

**გადავიდა ახალ ბინაზე: სლეპცოვის ქ., ზელნიცკის სახლი. № 4.**

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან,**

10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში

**მასწავლებელთა სია:** ფორტეპიანოს კლასი: **მ. გ. ანდრონიკოვა-ციციანოვა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ. ფოგელისა, თ. ს. შაბუროვა**; სკრიპკა: **მ. ტ. ვასილევი, პ. ა. ტიზენგაუზი**; ვიოლენჩელი: **გ. დ. დილმელოვი**; კონტრაბასი: **მ. ი. შერშოვი**; სიმღერა (სოლო): **მ. ა. კოლოტოვისა**; თეორიის კლასები: **ზ. პ. ფალიაშვილი**; ხორო: **ზ. ი. ჩხიკვაძე**; ახლად მოწვეულია ფორტეპიანოზე მასწავლებელი. მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. გოლდენვეიზერის კლასის თავისუფალი ხელოვანი **ე. დ. აბელაშვილისა**. მომავალი სამოსწავლო წლიდან სკოლაში დაარსდება სპეციალი კურსი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ თავისებურება ქართული მუსიკისა.

სწავლის ფასი: ფორტეპ. 70 მანეთი წელიწადში, სკრიპკა—75 მ. ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ., სიმღერა—100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარი წლობით წინდაწინ.

**პარაკლისი გადახდილ იქნება 6 სექტემბერს შუადღის 1 საათზე**

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.**

### პირველხარისხოვანი
## სასადილო
## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი 2, 3 და 4** თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

აქტივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მეფე ფერდინანდის განცხადება.**

პეტროგრადის დიპლომატიურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ბულგარეთის გამოსვლა დაიჩქარა მეფისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა პირისპირ ნახვამაო. ერთმა წარმომადგენელმა ასე დაათავა თავისი სიტყვა: „თქვენო დიდებულებავ, უნდა მხედველობაში იქონიოთ, რომ ჩვენი ხალხის სურვილის წინააღმდეგ წასვლისთვის თქვენ თქვენი თავით აძლევთ პასუხს“. ამაზე მეფე ფერდინანდს უპასუხნია: „მე მოვხუცდი და ჩემი თავი აღარავის ეჭირვება. მე კი გირჩევდით, თქვენს თავს გაუფრთხილდეთ!“ შემდეგ მეფემ მიიღო ავსტრო-გერმანელთა ელჩები. ოპოზიციის წინააღმდეგ სასტიკი და გარდამწყვეტი ზომებია მიღებული.

**რას ელის ბულგარეთი?**

ბულგარეთი სერბიის წინააღმდეგ უმალვე გაილაშქრებს, რა წამს ვილჰელმის ბრძანებას მიიღებსო. ეს კი დამოკიდებულია ავსტრო-გერმანელთა ჯარების გაძლიერებაზე სერბიის საზღვართან.

**რუმინია ფრთხილობს**

11 ენკ. პარლამენტის ჯგუფმა მიჰმართა დეპუტატებს და სენატორებს, რათა შესაფერი ზომები მიღებულ იქმნეს რუმინიაში გერმანელთა პროპაგანდის მოსასპობად.

ავსტრიის საზღვრებზე სამხედრო ძალები გააძლიერეს. სამხედრო სიფრთხილითვე ამაგრებენ დობრუჯს.

**საზოგადო მობილიზაცია ბულგარეთში**

ბულგართა სააგენტო იუწყება, რომ რადგანაც გადაწყვეტილია სამხედრო ნეიტრალიტეტობა, მთავრობამ განკარგულება მოახდინა მთელი სახელმწიფო ფეხზე დადგეს სამხედრო მობილიზაციისთვის. 10 სექტ. საზოგადო მობილიზაცია გამოცხადდა.

**სერბიის გასაჭირი.**

11 სექტ. რაკილა ბულგარეთმა საზოგადო მობილიზაცია მოახდინა, ბალკანეთზე მდგომარეობა ფრიად სერიოზული ხდება, რაიც პაშიჩმა აუწყა ოთხთა კავშირს.

**საბერძნეთის სამზადისი.**

ვენიზელოსისა და მეფის შუა სრული თანხმობაა. მეფემ დეკრეტზე ხელი მოაწერა, რათა 48 საათ. განმავლობაში მობილიზაცია მოხდეს. ხალხი სიხარულით შეეგება ამ ამბავს.

**ბულგარეთში.**

მეფე ფერდინანდთან აუდიენციაზედ იყვნენ ოპოზიციის წარმომადგენლები. მეფემ გულდასმით მოისმინა ოპოზიციის სიტყვა კამერის მოწვევისა და კოალიციურ კაბინეტის დანიშვნის თაობაზედ. ამ აუდიენციის შესახებ მთავრობის პრესა ამბობს: აუდიენციამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ ოპოზიციას ერთი აზრი არ აქვს და მოკლებულია საერთო პოლიტიკურ კონცეპციას. ზოგი წევრი ოპოზიციისა მოითხოვს, რომ ბულგარეთი რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის მხარეზე გადავიდეს, ზოგი კიდევ—ნეიტრალიტეტის დაცვასაო. ასე რომ კამერასა და კოალიციურ კაბინეტს ერთი პოლიტიკის წარმოება არ შეეძლებათ. მხოლოდ რადოსლავოვის კაბინეტი გამოხატავს ქვეყნის საერთო სურვილსო.

**სანოვაგე გერმანიაში.**

ბერლინის ქალაქის თვითმართველობის კრებაზე ბ-ნმა ვერმუტმა, ობერ-ბურგომისტრმა, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც მშვენივრად დაახასიათა გერმანიის მდგომარეობა სანოვაგის მხრივ. მისის აზრით გერმანია გაუჭირვებლად აიტანს ომის მეორე წელსაც. თუმცა მთავრობის ღონისძიება, რომელიც უკანასკნელ ხანებში იქმნა მიღებული, ერთნაირი ნაბიჯის უკან გადადგმა არისო. სანოვაგის საქმეში დიდი ქალაქები პატარა სასოფლო ოლქებზედ არიან დამოკიდებულნი, რამაც, შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს ქვეყანასო.

---

„Frankfurter Zeitung“-ი იუწყება, მთავრობამ ჩამოართვა კერძო პირებს რაც რამ ხორბლეულობა იყო; კერძო პირებს ჩამოერთვა აგრეთვე ყველა წისქვილი, რომლებიც ამიერიდან მხოლოდ სახელმწიფოს საჭიროებისათვის იმუშავებენ.

**ბულგარეთს ქებით იხსენიებენ.**

მთელი გერმანიის პრესა ბულგარეთს ქება-ხოტბით იხსენიებს. საგაზეთო წერილები ამბობენ ბულგარეთის ეროვნულ პოლიტიკას მალე დაუდგება დიდი დღესასწაულის დღეო.

**რუმინია უარყოფს.**

„Independ·nce Roumaine“ ოფიციალად უარყოფს იმ ხმებს, თითქოს რუმინია ახალ დობრუჯაში თვის ჯარებს თავს უყრიდეს ან ემზადებოდეს ბულგარეთის წინაალმდეგ გასალაშქრებლად.

**გადმოხვეწილები კიევში.**

უკანასკნელ დღეებში კიევში ნაკლებად უშვებენ გადმოხვეწილებს, რომელთა მეტ ნაწილს სამხრეთისკენ გზავნიან.

**მალე დავადგებითო შეტევას.**

გაზეთ „L'action“-ში სენატორი ბერანჟე სწერს: ახლოვდება ჟამი, როდესაც ინგლისი და საფრანგეთი თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი საიერიშოდ გამოვლენ. ჩვენ კაცები გვყვანან და ჯარიც გვეყოლება. დადგება დრო, როდესაც ჟოფრის მოთმინებისათვის დაჯილდოვებული ვიქნებითო.

**ქალები პოლიციის როლში.**

„ბირჟ. ვედ.“ კოპენჰაგენიდან ატყობინებენ, რომ ბერლინის მაგისტრატმა მოაწყო ღამით მოყარაულე ქალების ინსტიტუტი. რაკი ყველა ქალაქის მუშები ჯარში გაიწვიეს, მათ მოვალეობას ეხლა ქალები ასრულებენ. ისინი ჯოხებით არიან შეიარაღებულნი და თან ახლავთ გაწრთვნილი პოლიციის ძაღლები.

**რეიხსტაგის წევრი ვარშავაში.**

ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა ვარშავაში მოიწვია რეიხსტაგის წევრი დ-რი ლიუდვიგი ჰააზი. ჰაზი მიწვეულია მრჩეველის ადგილზე სამოქალაქო საქმეების საგამგებლოში.

# შტაბის დეპეშები

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 11 ენკ. ოფიციალი. 9 ენკენისთვემდე ვანის რაიონში ოსმალთა მოწინავე რაზმებთან მოხდა შეჯახება. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ, 11 სექტ. ოფიციალი. გერმანელთა მფრინავნი გამოჩნდნენ რიგის ყურეში, მაგრამ რუსთა ჰიდროპლანების მიერ უკუქცეულ იქმნენ. სოფელი ატკლანი სად. ნეიგუტის რაიონში რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადადიოდა, 10 სექტ. იგი რუსების ხელში დარჩა. გერმანელებმა სცადეს სოფ. სტრიგგე დაებრუნებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. დვინის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გერმანელები აქ ბევრ ადგილას ქარიშხალისებურ ცეცხლს აჩაღებენ და გაცოფებული იერიშები მოაქვთ. ნოვო-ალექსანდროვის რაიონში შარა-გზის ორთავე მხარეს მკაცრი ბრძოლაა. დრისვიატის ტბისა და ობელის ყელს შუა სასტიკი ბრძოლაა. დაბა ვილეიკიდან რუსებმა ხიშტით გამოჰრეკეს გერმანელები. ჯერ-ჯერობით ამ რაიონიდან წაღებულია 8 მძიმე იარაღი, მათ შორის 4 გაუბიცა, ამასთანავე დავლათ დარჩათ 9 გატენილი ყუთი და 7 ტყვიის მფრქვეველი. მათივე ზარბაზნებით რუსებმა უკუ აქციეს გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი. ოშმინის რაიონში და მის შემდეგ სამხრეთით ზემო ნემანამდე, როგორც ლიდამოლჩალის რაიონის აღმოსავლეთ რკინის გზის გასწვრივ, მძაფრი ბრძოლაა. განსაკუთრებით დაჟინებით ხასიათს იღებს სოფ. სუბოტნიკის რაიონში მდ. გაშიაზე, სადაც გერმანელები უკუ აგდეს დიდი ზარალით. დაბა ბარანოვიჩის სამხრეთით გერმანელთა მოწინავე რაზმებმა მდ. მიშანკას მიაღწიეს, შარას მარჯვენა ტოტს. ოგინის არხზე ლოგიშინთან გერმანელები დამარცხდნენ და გაიქცნენ. ლოგიშინი კვლავ რუსებმა დაიბრუნეს. გერმანელთა საბარგულების ნაწილს რუსთა ცხენოსანი რაზმი დაეცა, მსახურნი აჰკაფეს და საბარგულებიც გაანადგურეს. ლოგინის აღმოსავლეთით დუბროვო მოკრისთან გერმანელები სასიტკად დამარცდნენ რუსთა ჯარების მიერ.

# ვეცადოთ, არ ჩავიჭრათ

ბუნებისა და ხალხთა კატაკლიზმებს ერთობ თავისებური სახიერება მიუცია კავკასიისათვის. იმდენად მკვეთრად არის გამოთქმული ეს თავისებურობა, რომ რუსეთის უაღრესად ცენტრალისტური და იმპერიალისტური პოლიტიკაც იძულებული შეიქმნა კავკასია ცალკე ერთეულად გამოეყო და გამოეცხადებინა იგი თუ მეფის მოადგილის რეზიდენციად, თუ მთავარმართებლისა. იმ თავითვე კავკასიას განაგებდენ განსაკუთრებული რწმუნებით და უფლებით მოსილნი პირნი. და ეს იმიტომ, რომ მკვიდრთა თავისებურობა არ შელახულიყო, რომ ახალი ერის ბატონობა, მისი სამართალი და მისი მართვა-გამგებლობა მკვახედ და უხეშად არ ძგერებიყო უცხო ხალხის სამართალს, ზნეს, ჩვეულებას, ადათს, რომ, პირიქით, მორიდებით, დაზოგვით და ტემპერამენტით ეზიარებინათ ეს ხალხით და ზეადაგით თავისებური მხარე რუსეთის იმპერიის სხეულთან. ფორმალურად, მკაცრად იმპერიალისტური და ცენტრალისტური სახელმწიფო თითქოს დეცენტრალისტურ გზას დაადგაო კავკასიის მიმართ,

რუსეთის ფართე და ხელის გულივით გაშლილ ტრიალ ველზე აღმოცენებულ და აღზრდილ ხელმწიფებას, ეტყობა, თვალში სცემია მხოლოდ კავკასიონის მაღალი ქედის თავისებურობა. ტოპოგრაფიის უცხოობას მოუხდენია მასზედ პირველი დამატყვევი შთაბეჭდილება და ამ ტოპოგრაფიის თავისებურობის დასაცავად დაუმკვიდრებია კიდეც საგანგებო ფორმა მართვისა!.. უტრადიციო და ახალგაზდა ხელმწიფება პირველ ყოვლისა ბუნების საკვირველებას გაუოცებია... და ტოპოგრაფიულად უცხოდ დახნული კავკასია თავისებურ, მაგრამ ამასთან en bloc ერთსხეულ ერთეულად მოსჩვენებია, თორემ შეუძლებელი იყო ეთნოგრაფიისთვის პატივი ეცა, ისტორიული ერის თავისებური სახიერება სათვალავში ჩაეგდო და ამავე დროს კავკასია მიეჩნია ერთ, ეთნოგრაფიულადაც ერთფეროვან საგამგებლო ერთეულად.

ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ კავკასიაში მოსახლე მკვიდრ ერებს ისეთივე შორეული ნათესაობა აქვთ ერთმანერთთან ან უფრო, ისე უცხონი არიან ერთი-მეორისთვის ზნე-ჩვეულების, ენის, კულტურისა და სულის მხრივ, როგორც კავკასიონის ქედია უცხო რუსეთის ტუნდრისა და ტაიგისთვის.

[illegible] კავკასია, მხოლოდ [illegible] გეოგრაფიის წყალობით, იმ თვითვე de facto, უბრალო საადმინისტრაციო გამოყოფილებად იქმნა მიჩნეული. და ამ საადმინისტრაციოში მომქმედი ხელმწიფება, და ეს მძლავრი, თუ შეიძლება ასე ითქვას გინყენებული სინამდვილე, რომელიც დრო გამოშვებით მხოლოდ ცოცხალ აგენტებს იცვლის, უდრეკად და შეუპოვარად განამტკიცებს სხვა ერთა შორის რუსულ სიხელმწიფოებრივ პრინციპს. ამ ხელმწიფების არსება, მისი ბუნება რჩება უცვლელი.

. როგორც მსახიობების გამოცვლა პიესის ვერც აზრსა ცვლის და ვერც ფორმასა, აგრეთვე პერსონაჟების გამოცვლა კავკასიის საადმინისტრაციოში მომქმედ ხელმწიფების ვერც ბუნებას შეცვლის და ვერც მის არსებას. **არსებითად** იგი ხელმწიფება ძველებური დარჩება და ეს ,,არსებითად'' ხომ ყველაფერია. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. შეიძლება მოხდეს ერთი რამ: პერსონაჟის ტემპერამენტმა არ მოგვაკლოს ის რეფორმები, რომლებიც ან აქამდის მომხდარა, ან დღეს დღეობით ან ამიერიდან შეიძლება მოხდეს გაბატონებული ერის განფენი-

# სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში

**მეფე ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით.*)**

**წინასიტყვაობა.**

ეს მცირედი ნაშრომი დაწერილი მაქვს რუსულ ენაზე 24 წლისწინად, 1891 წ. ნოვოროსიის უნივერსიტეტის კომისიაში წარსადგენად. პირობების გამო ნაშრომი მეტად სწრაფადაა შესრულებული. მასთან იმ დროს მეტად მცირე მასალები მომეპოვებოდა ხელთ, რომ საგანი ჯეროვანად განმეხილა.

შემდეგში ვფიქრობდი ნაშრომი შემევსო საჭირო ცნობებით იმ წყაროების მიხედვით, რომელნიც მრავლად მოეპოვება ჩვენს სამშობლოს, როგორც წერილობით დოკუმენტებში, ისე ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებაში. ვფიქრობდი ამავე წყაროებით გამეცნო საზოგადოებისთვის ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობა; მაგრამ აგერ 24 წელი მიდის და, სამწუხაროდ, ჩემი სურვილები დღემდინ მხოლოდ სურვილებად მრჩება. ამის მიზეზი გახლდათ დროს უქონლობა. ჩემი სამსახურის მოვალეობა ოდნავ არ მაცლიდა და მეორეც, თვით ჩვენი შესანიშნავი კანონმდებლობის ძეგლი „მეფე ვახტანგის კანონები“ არაა გამოცემული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბროსეს გამოცემას, რომლის მხოლოდ ერთად ერთი ცალი მოიპოვება მთელს თბილისში.

მართალია, ამ კანონებს სადღეისოდ განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აღარა აქვთ, მაგრამ მათი შესწავლა ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი სამშობლო კულტურის ისტორიის შესასწავლად, არამედ მსოფლიო კანონთა და უფლების ევოლიუციის განსამარტავად.

ამ კანონმდებლობის ძეგლს სწორედ ასეთს მნიშვნელობას აწერს ფრანგთა ცნობილი იურისტი ადოლფ დარესტი. აი, სხვათა შორის, რას ამბობს ეს გამოჩენილი მეცნიერი თავის მსოფლიო კანონმდებლობის ისტორიაში მეფე ვახტანგის კანონების შესახებ: „ეს მე-XVIII საუკუნის კანონთა კრებული შეძლებას გვაძლევს უკეთესად გავიგოთ, თუ რა იყვნენ ბერძნები ჰომიროსის დროს ანუ დრაკონამდე, რომაელები ისტორიულ ხანის დასაწყისამდე, გალლები კეისრამდე, გერმანელები შემოსევამდე, რუსები იაროსლავის გაბატონებამდე, სკანდინავცები მე-XIII საუკუნეში“, (Étude d'histoire du droit par adolphe Dareste, Paris, 1889, pag. 135)

ასეთი მნიშვნელობა თუ მისცა ფრანგთა მეცნიერთა იურისტმა ჩვენს საკანონმდებლო ძეგლს, ეს აიხსნება მით, რომ ეს ძეგლი შეიცავს უხსოვარ დროის კანონებს მე-XVIII საუკუნემდე, მოსედან ვახტანგამდე.

თვით ვახტანგის კანონებში კი, რომელნიც, თქმა არ უნდა, შორს ვერ გაუსწრობდნენ დროთა ვითარებას, ხშირად ისეთი განსაცვიფრებელი შეხედულობანი გვხვდება უფლებაზე, კანონზე, როგორც მაგალითად, საკანონმდებლო საბჭოზე, სამაგიეროს მიზღვევაზე, პიროვნების ხელშეუხლებლობაზე, მსაჯულთა დასჯა დანაშაულობის შეგნების მიხედვით და მრავალი სხვა, რაიც თვით დღესაც კი მართლმსაჯულების იდეალს შეადგენს.

თუ ვახტანგის კანონები ევროპიელ მეცნიერთა შორის ძვირფას მარგალიტს წარმოადგენს უფლების საარქეოლოგიო სფეროში, მაშინ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს კანონები უნდა წარმოადგენდეს ფასდაუდებელ ოქროს ჩამოსხმულ უკვდავ ძეგლს, რომელიც ჟამთა ვითარების გამო კი არ ჟანგდება, არამედ ყველას თვალსა სჭრის თვის ბუნებრივი მშვენიერების ელვარებით! ეს კი თავდები იქნება იმ მარტივი ჭეშმარიტებისა, რომ ხალხი, ვინცა ჰპატრონობს ასეთს განძს, არ უნდა მოკვდეს და არც შეიძლება მისი მოკვლა.

**შესავალი**

იმ საზოგადო ინტერესმა, რომელიც დღეს მეცნიერებაში თუ პრაქტიკაში უცხო ერთა უფლების შესწავლას გამოუწვევია საზოგადოდ და კერძოდ კავკასიაში, მეც აღმიძრა სურვილი ჩემი შრომის საგნად ამომერჩია სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მეფე ვახტანგ მე-VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით. ვერ ვიტყვი, ვითომც ჩემი შრომა დამთავრებული იყოს და საბოლოოდ არკვევდეს სისხლის სამართლის უფლებათა ძირითად საფუძვლებს ამ ძეგლის მიხედვით, არა, ეს მხოლოდ სისტემატიური გადმოცემა გახლავთ მისი ინსტიტუტებისა და—ჩვეულებრივ უფლებათა აღწერა საქართველოს განსაპირა კუთხეებში. ჩემ მიერ სისხლის სამართლის უფლებათა ძირითად ცნებათა დახასიათება, მხოლოდ სუსტი ცდა გახლავთ იმ საფუძველთა გამოსარკვევად, რაზეც დამყარებულია ეს საკანონმდებლო ძეგლი დანაშაულისა და სასჯელის შესახებ. ეს ძეგლი მით უფრო არის საყურადღებო, რომ შიგ აღნიშნული კანონები საოცრად წააგვანან სხვა ერთა კანონებს და სისხლის სამართლის უფლების განვითარებას.

სისხლის სამართლის უფლების განვითარება თითქმის ყოველგან ერთი და იმავე სახითა გვხვდება. საზოგადოებრივ განვითარების პირველ ხანაში დანაშაულის იდეია იშვება კერძო უფლების დარღვევის გამო, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე შურისძიება, ანუ სისხლის ასანაზღაურებელი სასყიდელი. უძველეს საზოგადოებათა შორის სისხლის კანონი დანაშაულებათა კანონად როდი იყო აღიარებული: „ეს გახლდათ კანონი მავნე მოქმედების შესახებ, ანუ მავნებლობაზე“[1]) შემდეგში კი, როდესაც მოხდა კერძო საზოგადოებათა შეკავშირება, გვართა და ტომთა შეერთება, რასაც ბოლოს სახელმწიფო ეწოდა, დანაშაულის ცნებაც შეიცვალა, იგი სულ სხვა რამ იყო, ვიდრე ცოდვა ანუ მავნებლობა და თავის შემეცნებაში შეიცავდა სახელმწიფოს და საზოგადოების შეურაცხყოფის იდეიას. ამიერიდან ყოველი მოქმედება, რითაც კი სახელმწიფო შეურაცხყოფილი იქნებოდა, დანაშაულად იქმნა აღიარებული. მაგრამ რაკი-ღა სახელმწიფოსთვის პიროვნების ინტერესი ძვირფასი იყო, როგორც მისი პირადი ინტერესი, ამიტომ კერძო უფლების დარღვევა დანაშაულად იქნა აღიარებული, როგორც სახელმწიფოს შეურაცხმყოფელი ცოდვა. რამდენადაც ძლიერდებოდა სახელმწიფო დანაშაულის მნიშვნელობა, იმდენად ვითარდებოდა მისი შინაგანი მნიშვნელობა. მას მეტ ყურადღებით ეპყრობიან, სცდილობენ გაიგონ და ჩახვდნენ დანაშაულის ბუნებას, მის ხასიათს, თვისებას. ამ გვარი ცდა, ასეთი მოქმედების ისტორია კანონმდებლობის გარშემო ყოველგან ერთგვარი სახით გვხვდება და ერთსა და იმავე ისტორიულ კანონებს ემორჩილება.

ამ კანონების ბატონობა უფრო ცხადლივ გვხვდება სასჯელის იდეიის განვითარების ისტორიაში. ყოველგან პირველი ფორმა, რომელშიაც ყალიბდება სასჯელის შემეცნება, როგორც ბოროტების სამაგიერო, გახლავთ შურისძიება, ანუ პირისპირ გასწორება. შურისძიება წმინდა სუბიექტური სასჯელია: მომჩივარი იმდენად იძიებს შურს, რამდენადაც ამას საჭიროდ დაინახავს. ადრე თუ გვიან შურისძიება იღებს უფრო შესაფერ სახეს რაიც გამოიხატება სასყიდლის სისტემაში (ius compositionis). მაგრამ სასჯელის ეს უძველესი ინსტიტუტი—შურისძიება, უეცრივ როდი იცვლება მეორე სახედ, არა, ორივე ფორმა რამდენიმე ხნის განმავლობაში ერთ-ურთს არ შორდებიან. მხოლოდ შემდეგ, ნელ-ნელ, შეუმჩნევლად, შურისძიების ადგილს სასყიდელი იჭერს, ანუ ფულის გადახდევინება მომჩივრის სასარგებლოდ. პირველად სასყიდელი, როგორც შურისძიების ნაცვალი, ყოველთვის მომჩივრის სასარგებლოდ მიდიოდა, მაშასადამე, მას კერძო ხასიათი ჰქონდა. მაგრამ სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად რამდენადაც ძლიერდებოდა სამსჯავროს ორგანოები, თვით სასჯელმაც საჯარო ხასიათი მიიღო. ამ დღიდანვე იწყება სასჯელის ცნების უმაღლესი განვითარება, როგორც ჭეშმარიტი მისაგებელი დანაშაულზე, უფლების იდეის შეურაცხყოფაზე, რომლის გამომხატველიც გამოვიდა თვით სახელმწიფო. მალე კანონმდებლობაში გამოჩნდა მთელი რიგი სისტემა სახალხო და პირადი სასჯელისა. სასჯელის ცნების განვითარების ამ პერიოდში შეიძლება აღინიშნოს ორი სხვა და სხვა საფეხური: ჯერ სასჯელს არ დაუკარგავს პირვანდელი ხასიათი—შურისძიების ელფერი; მაგრამ ეს შურისძიება უკვე კერძო ხასიათისა კი არ არის, არამედ საზოგადო. მაგრამ როგორც კერძო, ინდივიდუალი შურისძიება, ეს უკანასკნელი ფორმაც მეტად ტლანქია და თვითნებური: იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს დანაშაულის სუბიექტივურ მხარეს. მას მხოლოდ გარეგანი მხარე აინტერესებს, ის ნივთიერი ზარალი, რომელიც დამნაშავეს მიუყენებია მომჩივარისთვის. ეს გახლავთ ეგრედ წოდებული ნივ-

*) როდესაც ქართ. კულტ. საზოგადოებამ მომმართა ბ-ნ პ. კიზირიას ეს ნაშრომი მეთარგმნა, რათა მორიგ სხდომაზე ავტორის ნებართვით მოხსენებად წამეკითხა იგი, პატარა მოფიქრების შემდეგ თანხმობა განვაცხადე და დიდის ხალისითაც შევუდექ თარგმნას. ვგრძნობ, თარგმანი ჯეროვანი ღირსებისა არ იქნება, რადგანაც ქართულ სამართლის ტერმინოლოგია ფრიად სპეციალია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ საკანონმდებლო სფეროში და ისიც ქართულ ენაზე იშვიათად მიმუშავნია. ანაზდეულად ხელის მოკიდება კი ფრიად სახიფათოა. ეს სიძნელე მით უფრო გამიორკეცდა, რომ პროფ. ი. ჯავახიშვილმა კერძო საუბრის დროს საზოგადოდ ჩვენს კანონმდებლობისა და უფლების შესახებ და კერძოდ ვახტანგის კანონებზე გადაჰკრით მითხრა, თუ რა არევ-დარევა ჰსუფევს ქართულ სამართლის ტერმინოლოგიაში, თუ ერთი და იგივე ტერმინი როგორ სულ სხვა და სხვა გვარად გვესმის დღეს და უწინ ვახტანგის დროს. აი, ამითი აიხსნება, რომ თვით ვახტანგის კანონების თარგმანი რუსულ ენაზე დიმ. ბაქრაძის მიერ ანარქიულია და „გროშად არა ჰღირს“ ო. თქმა არ უნდა, თუ ტერმინთა გარკვევა გასძნელებია უფრო ისეთს დახელოვნებულს არქეოლოგ-ისტორიკოსს, როგორიც ბაქრაძე იყო, მით უფრო გაუძნელდებოდა თქვენს უმორჩილეს მონას, რომელიც პ. კიზირიას ნაშრომის მთარგმნელის როლში გამოვიდა. მაგრამ ნუ განცვიფრდებით, თუ თარგმანი არა თუ დანიშნულებისაებრ წაკითხულ იქმნა ხსენებულ საზოგადოების კრებაზე, არამედ დღეს ქვეყნდება კიდეც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ასეთი კადნიერება პირადად საჭიროდ იმიტომ დავინახე, რომ შრომა იგი ფრიად საგულისხმიეროდ მიმაჩნია თუნდა იმ მხრით, რომ საკანონმდებლო სფეროში ფრიად ნაკლები გაკეთებულა. ისტორიკოსთა შორის ბროსე-ბაქრაძე-ჯავახიშვილით და ერთ იურიდიული ცოდნით დროის შესაფერისად აღჭურვილ ნ. ურბნელით იფარგლება ჩვენი უფლების ისტორიის კვლევა-ძიება. დღემდე რომ იურისტი სპეციალად ამ საგანს ჩასჯდომოდეს, ეს კი არავის დაგვინახია. პ. კიზირიას ნაშრომიც სწორედ აი ამ მხრით არის საგულისხმიერო. თუ ამ ნაშრომის გამოქვეყნებამ საზოგადო ხალისი მაინც გამოიწვია ჩვენს ახალგაზრდობაში საზოგადოდ და კერძოდ ჩვენს იურისტთა შორის, რომელთა ენერგია მეტ წილად სანინთა დაცვა-ბრალდებაზე იხარჯება, მაშინ ავტორსაც და მთარგმნელსაც დიახაც რომ მიზნისთვის მიუღწევიათ. ვინ იცის, ქართველთათვის ჩვენი უფლებისა და კანონმდებლობის შესწავლა ისე არას დროს ყოფილიყოს საჭირო, როგორც დღეს, როდესაც დიდთა და წვრილ ერთა შორის მხოლოდ ერის უფლებაზეა ლაპარაკი...

**დ. კასრაძე.**

[1]) Мэнъ Древнее право и его отношеніе къ новѣйшимъ идеямъ ст. 289.

ეროვნული ბიბლიოთეკა 182



ვაჟა-ფშაველა ოჯახში.



**ჩვენი მსახიობნი:**

სოფლები მოვიარეთ, მშივრები დავრჩით... თბილისს დავბრუნდით, ქუჩებსა ვსტკეპნით... ვაი, ჩვენ ყოფნას!

## პროტექცია

**ოლ. დ'ორისა.**

დაძველებული ზედატანით სახე გაფითრებულმა, გამხდარმა ახალგაზდამ ბარათი გადმომცა.

— ალექსანდროვისაგან!—წარმოსთქვა ოდნავი ღიმილით.

— აჰა, ალექსანდროვისაგან! დიდად სასიამოვნოა, დაბრძანდით!

ალექსანდროვი, მსახიობი, სახელ განთქმული უკანასკნელ წლებში ჩემი უმახლობელესი, მეგობარი შეიქმნა... გულწრფელი სიხარული ვიგრძენ მისი წერილით.

წერილი ათრთოლებულის ხელით გავხსენ და წავიკითხე:

„საყვარელო, გულმხურვალედ წარმოგიდგენ ამ ბარათის მომტანს, იგი ნიჭიერი პოეტია, საუცხოვო ფელეტონებს და მოწინავეებს სწერს. ბულალტერია მშვენივრად იცის, უკრავს ჭიანურზედაც. სადმე რაიმე საქმე უშოვნე, შენ კავშირი გაქვს გაზეთებისა, მსახიობთა და პლუტოკრატთა წრეშიაც კი. დარწმუნებული ვარ ამ თხოვნას ამისრულებ. გაკოცებ ბევრს, შენი ალექსანდროვი...“

ვიდრე მე წერილს ვკითხულობდი ახალგაზრდა კაცი, ჩემს პირდაპირ, წყნარად მომღიმარე იჯდა.

— დიდი ხანია, რაც ალექსანდროვი გაგიცვნიათ?

— ალექსანდროვი?..

ახალგაზრდა კაცს სახე აელეწა.

— არ არის დიდი ხანი... გუშინ გავეცან...

— ნუ თუ? . ის კი ისე იწერება თქვენს შესახებ, თითქო ბავშვობითვე სცნობდეთ... როგორ გაიცანით?

ახალგაზრდამ დამნაშავესავით დაჰხარა თვალები.

— მთელი ისტორია გახლავთ. ნება მომეცით პაპიროსი ავიღო!

— ინებეთ, გეთაყვათ, ინებეთ!

ახალგაზრდამ ჩემი სათუთუნე თავისკენ გასწია და რამდენიმე წამი პაპიროსებს არჩევდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პაპიროსი ერთნაირი,—ერთი მეორის მგზავსი იყო...

— თუ გნებავთ თავიდან მოგიყვებით...

— გეთაყვათ...

ახალგაზრდამ პაპიროსს მოუკიდა, სიტკბოებით შეისუნთქა მისი ბოლი და დაიწყო.

...ორი კვირა იქნება რაც ჩამოველ. თან მოვიტანე სარეკამენდაციო წერილი, ერთს თანამემამულესთან, რომელსაც სწერავდა მისი მახლობელი მეგობარი.

თანამემამულემ მიმიღო დიდის თავაზიანობით, ჩაიზედ მიმიწვია, პაპიროსი მითავაზა და მითხრა.

მე ერთი პატარა კაცი ვარ. მე ვარ,ძალიან ბევრიც რომ ვსთქვა, მხოლოდ ბირჟის დალალი. რითი შემიძლიან გიშველოთ? დაგიწერთ წერილს ჩემს კარგს ნაცნობთან, ბოქაულის თანაშემწესთან. ერთხელ მე იმას ფასიანი ქაღალდი ვაყიდინე, რომლითაც რამოდენიმე ათასი მოიგო.

ჩემმა თანამემამულემ დასწერა სარეკამენდაციო წერილი, როგორც იტყვიან დასწერა ისე რომ ქვას გაჰხეთქდა. ბოქაულის თანაშემწემ წაკითხვისთანავე დაიძახა.

ა, ა, დიდად მიხარიან! სამწუხაროდ... ბოქაულის თანაშემწემ შუბლი შეიკრა.

## ივერიკო

დრამა ხუთ მოქმედებად*)

**სანდრო შანშიაშვილისა.**

**მოქმედება მეხუთე.**

სურათი პირველი.

გამოსვლა I. **კახო, იმერო, გამდელი და ქალები.**

ოთახი ივერიკოს ციხე-კოშკში. მარცხნით ექვსიოდე ქალი სდგას. მათ წინ გამდელი შავს ტანისამოსში. მარჯვნით კახო და იმერო ერთმანეთს პირებ შებრუნებულნი.

**გამდელი.** აბა, რას მარგებს ცრემლის ფრქვევა? ცრემლი თქვენ ღვარეთ...
თქვენ, რომელთაც კი უღალატეთ თქვენსავ ღვთაებას!
ვერ შეიფერეთ და სხვის მონად გარდააქციეთ. (სიჩუმე)
ახ, რატომ წყევა არა მხდება მოხუც გულიდგან — —
მაგრამ, აბა, ვინ, ვინ დავსწყევლო? ჩემნი აღზრდილნი?
ნუ თუ არ გესმით ერი თქვენი აწ რას განიცდის?
განა თუ ჰპოვებთ სიამესა რომ დღეს მზის ნაცვლად
ცეცხლი გინათებთ, ჩვენს სახლკარსა მოკიდებული? ?
განა თუ ჰპოვებთ სიამესა, რომ ნანის ნაცვლად
კვნესა გაისმის წამებულთა კიდით-კიდემდე?
განა თუ ჰპოვებთ სიამესა, რომ ლხინის ნაცვლად
დღეს ჯალათებსა მეჯლისი აქვთ სახრჩობელასთან?— —
დალაჩრდა გრძნობა და მონობის შიშს შეეთვისნენ!
(საბურავს მოიხსნის და კახო-იმეროს გადაუგდებს)
მაშ ეს ლეჩაქი, თქვე ლაჩარნო, თავს დაიხურეთ,
დედებს მოგვეცით ეგ მახვილი!.

**კახო.** (მშვიდად) კმარა, გამდელო!
გულს ნუ გვიკოდავ!

**გამდელი.** მოკვდეს ეგ გული, თუ კი არჩევს ნაძრახს სიცოცხლეს!
ლომა რაინდმა თვისის ფეხით რად არ გაგსრისათ,
თუ ვაჟკაცობას დაჰკარგავდით ჩვენს შესარცხვენად?

**იმერო.** დამშვიდდი კმარა!

**გამდელი.** (მკაცრად) სად არსებობს იგი სიმშვიდე?
ჩვენი ოჯახი, ჩვენი კერა დანგრეულია,
გარეშეს მიაქვს ჩვენი სარჩო საბადებელი,
ტყვედ არის ჩვენი ივერიკო — — როგორ დავმშვიდდე?

**კახო.** შენს თავს უფრთხილდი!

**იმერო.** მეც მაგას გირჩევ!

**კახო.** განა არ იცი, ვით გვადევნებს სარდალი თვალყურს?

**იმერო.** მან შენ ჯაშუში მოგიჩინა...

**კახო.** ეგ მეც შევნიშნე...

**იმერო.** იგი გაბრალებს, ვითომც იყო შეთქმულთ მოთავე
და შენ ახდენდე აჯანყებას სხვადასხვა მხარეს.

**გამდელი.** (ყურს არ უგდებს)
შენი გამდელი ცოცხალია, შენ კი ტყვედ იყო??
ო, ეს ცრემლები (ცრემლებია შურის ძიების!

*) იხ. „საქართველოს“ № № 13, 19, 25, 31, 36, 42, 48, 54.

(ქალებს, რომელნიც უკან იდგნენ)
ქალნო! დავიხსნათ ჩვენი სასო, ჩვენი იმედი
და დავუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას თვისი დიდება!
(კედლიდან იღებს ხმალს, ისარს, ხანჯალს და ქალებს ურიგებს)
აჰა, ეს ხმალი შენ დაიჭი! ეს შენ, თამამო!
ესეც შენ, ჩემო საყვარელო! ესეც თქვენ, შვილნო!
ქალი გაიწევს, ცხრა უღელაც ვერ დაამაგრებს.
ჩვენ თვითონ წავალთ ივერიკოს გამოსახსნელად.

**პირველი ქალი.** უკვე გვიცდიან ჩვენი დობილნი!

**მეორე ქალი.** სასახლის გალმა შემოკრეფილან...

**მესამე ქალი.** ნუღარ ვაყოვნებთ!

**გამდელი.** (შუაში ჩადგება. ხელში შიშველი მახვილი უჭირავს)
ესე მახვილი ერთ დროს კოლხოს ხელში ეჭირა
და ამ მახვილით არა ერთხელ გაუმარჯვნია,
დღეს მე მიჭირავს! გამარჯვების თავმდები არის...
(ქალები გარს შემოეხვევიან. გამდელი შუაში სდგას. კახო და იმერო გულჩათხრობილნი და ჩაფიქრებულნი მოშორებით სდგანან)
წინაპართ სულნო, გადმოგვხედეთ, გზა წარგვიმართეთ!
ჩვენ ვიბრძვით თქვენის დიდებისა კვლავ აღსადგენად.
ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ ჩვენის ქვეყნის ასაყვავებლად.
ჩვენ არ გვწყურიან სხვისი სისხლი, სხვისი სიკვდილი,
რადგან ეს დედამ კარგად იცის, თუ ღვიძლი შვილი
თვით უცხოსთვისაც რაოდენად სანუკველია.
ჩვენ გვინდა მხოლოდ დავიბრუნოთ ჩვენი იმედი
და დღეს ამიტომ ბრძოლა ჩვენთვის სანატრელია.

**კახო.** (რომელიც სარკმლიდან იყურებოდა)
ჰხედავთ ვინ მოდის?

**გამდელი.** არა ვშიშობთ, ვინც უნდა იყოს..,

**იმერო.** მოიცა, ეს ხომ...

**კახო.** ქართლო არის...

**ქალები.** (სიხარულით) როგორ? მაშ ქართლო? (სარკმელს მიეხვევიან)
ქართლო ბრუნდება, ქართლო მოდის!..

**გამდელი.** ღმერთო მოწყალევ!

**იმერო.** იგი არა ზის თვის მერანზე.. არც ხმალი უჩანს..

**კახო.** (საყვედურით, გაბრაზებული)
ეგ ის არ არის, ძმებს რომ უმტრო, სატრფოც დაამხო?
(ხანჯალზე ხელს ივლებს)
აქ არ შემოდგას თვისი ფეხი, თორემ ავკუწავ!

**იმერო.** (ტკბილის, დაყოლიების ხმით)
რას ამბობ, ძმაო? აბა, რა დროს მაგ სიტყვის თქმაა!
მისის აქ მოსვლით უბრუნდება მარჯვენას ძალა.
თუ წუთიერად ჩვენ მან დაგვგმო და ტანჯვას მიგვცა
ეს უნებურად მოუვიდა და არა გულით.
განა არ ნახე, მის ფერხთა წინ ოდეს დაგვამხეს,
წინალამ გრძნობა ამომჯდარსა ტირილი წასქდა.

გამოსვლა II. **იგინივე და ქართლო.**

**ქართლო.** (შემოიჭრება. აღელვებულის და მონანიების ხმით)
ძვირფასნო ძმანნო, საყვარელნო! ო, მომიტევეთ!
(მუხლს მოუყრის)
ღირსიც კი არ ვარ თქვენს წინაშე მუხლებზე ვიდგე,
ესოდენ დიდი მიმიძღვის მე დანაშაული!
თქვენს სულგრძელობას შევავედრებ ჩემს პატიებას!
ისმინეთ ჩემი გულის კვნესა, რომელიც მოსთქვამს,
ვით ნორჩი ბავშვი, მშობელთაგან დაობლებული.
ო, რატომ ის დღე ჯოჯოხეთად არ გარდამექცა,
როს თქვენ შეგძულდით საყვარელნო, ძვირფასნო ძმანო!
აწ თქვენს წინაშე ვსდგევარ ესრე შენანებული,
გემუდარებით, დაივიწყოთ ჩვენი წარსული,
როს უგუნური მხოლოდ მტრობას განვიზრახავდი
და ჩემთან ერთად მე თქვენ თავსა ვაუძლურებდი.
ო, საყვარელნო, ძმა უფროსი მიმიღეთ კვალად,
ნუ, ნუ იძიებთ ჩემზე შურსა, ჩვენსავ დამღუპველს!
უთქვენოდ ვიქმენ ესდენ სუსტი, დადუნებული,
რომ ვიგინდარა თვის ნებაზე მათამაშებდა, (ფეხზე წამოდგება)
გადამიშალეთ თქვენი გული, რომ კვლავ ჩაგეკრათ
და შერიგებით სიხარულის ცრემლი დავღვარო
და მით წავრეცხო ჩემი ცოდვა და დამცირება.

**იმერო.** (სიხარულით)
ქართლო, მე მზად ვარ! ჩემი გული აღვსილა გრძნობით!
მოვედ ძვირფასო! გამიკურნე ძველი ჭრილობა!
(ერთმანეთს ცრემლის ფრქვევით გადაეხვევიან)

**იმერო.**
**ქართლო.** } ო, საყვარელო! კურთხეულ არს ძმათ სიყვარული!

**კახო.** (პირმიბრუნებული)
ლამის ცრემლები მაფრქვევინოს უცნობმა გრძნობამ.

**ქართლო.** (კახოს)
და შენ კი ძმაო! პირს იბრუნებ! ნუ თუ ხელსა მკრავ?
იმერო ჩემო! შემავედრე! კახოს არა ჰსურს! — —

**კახო.** (უცბად მოტრიალდება ცრემლმორეული)
ო, არა ქართლო! მეც მსურს! მეც მსურს!
(გადაეხვევა) ჩემთან ხარ ჩემი!
გამხნევებული გული ჩემი კვალად აღმენთო
და შენთან ერთად კახო იგივ რაინდი არის!

**გამდელი.** ძვირფასო შვილო! ივერიკოს ამბავს რას გვეტყვი?

**ქართლო.** ნურაფერს მკითხავ, ო გადიავ! სხვას რას მოგითხრობ,
თუ არა გულის დამდაგველსა, დამაწყლულებელს.

**გამდელი.** ვაი ჩემს თვალებს! შვილო! შვილო, ჩემო ივერო!

**ქართლო.** აწ დახანება, ჩემო ძმანო, არ შეიძლება.
ჩვენს შველას ელის ივერიკო და მოუთმენლად
იტანს იმ ტანჯვას და წამებას, რასაც მტარვალი
მას განუმზადებს ყოველ დღესა სულ ახალ-ახალს,
რათა სხეულით დაასუსტოს და მოიყვანოს.
ჩვენი მიჯნური ივერიკო მორჩილებაში.
ჩვენ გველის-მეთქი!

**იმერო.** ნუღარ ვიცდით!

**კახო.** აღვმართოთ დროშა!
დროშა ძლიერი! გავემართოთ ივერიკოსკენ!

**ქალები.** მოციქულები აქ მოდიან!

— სამწუხაროდ ჩვენთან ყველა ადგილი დაჭერილია. ვერაფვერი ვერ მომისაზრებია, სრულებით. მაგრამ...

ბოქაულის თანაშემწეს სახე გაუბრწყინდა.

მაგრამ, მე შემიძლიან წერილი გაგატანოთ ანტონოვთან, იგი თეატრის დირექტორია, ალბად ექნება რაიმე ადგილი, ის ჩემს თხოვნას ყოველთვის შეასრულებს.

თეატრის დირექტორი მეტად მოსიყვარულედ შემხვდა, მაგრამ გულით კი დაინანა:

— ბ. ბოქაულის თანაშემწეს ყველაფერს შევუსრულებდი მაგრამ, რა შემიძლიან მოვაგვარო, სწორედ, არ ვიცი... მხოლოდ.

ანტონოვმა უცებ მხიარულად დაიძახა.

— იცით რა? მე დაგიწერთ ბარათს ელვირა ანტონის ასულთან, ეს ჩვენი პრიმადონაა, მას ესაყვარლება ბანკის არხიპლუტოვი. აი, ბრწყინვალე აზრი! ელვირა ალბერტის ასული ჩემთვის რას არ იზამს!

პრიმადონამ მიმიღო ალერსით, ჩაიზე მიმიწვია, პაპიროსი მითავაზა და თმაზედ ხელიც გადმისვა.

— თქვენაო,—სთქვა მან ნაღვლიანად —სახით ჯერ ახალგაზრდა ხართ და თმაკი გაგთეთრებიათ. ჩემი არხიპლუტოვი კი—პირიქით სახით ძალზე ბებერია და თმა შავი აქვს, ყორანივით. მაგრამ...

გაიცინა, ლამაზად.

— მაგრამ, იმიტომ რომ პარიკს იდებს ხოლმე.

ნახევარი საათი მესაუბრა, ჩემს მშობლებზედ, ჩემს ცხოვრებაზედ... შემდეგ დასწერა ბარათი, რომელიც ქვას გაჰხეთქდა, ჩამაბარა და მითხრა დარწმუნებით:

— ის მოგიხერხებთ, იყავით დარწმუნებული.

არხიპლუტოვმა ჯერ ძალიან ცივად მიმიღო. მაგრამ წაიკითხა რა ბარათი ელვირა ალბერტის ასულისა წელზე მკლავი ნომხვია, პირდაპირ დამისვა და პაპიროსი მომთავაზა.

— რა რიგ მინდა მოგიხერხოთ რამ! რარიგ მინდა მოგიხერხოთ! გულწრფელად გაიმეორა რამდენჯერმე ბანკირმა. სამწუხაროდ ჩემთან ყველა ადგილი დაჭერილია. ღმერთმანი არ ვიცი თუ რა უნდა გიყოთ. მე თქვენ...

ავდექი წამოსასვლელად მაგრამ ბანკირმა ხელი მტაცა:

— მოითმინეთ!—დაიყვირა თითქმის შეშინებულმა—მე არ შემიძლიან ასე გაგიშვათ. მე ელვირა ალბერტის ასულის სურვილი უნდა შევასრულო... იცით რა?

ბანკირი გამხიარულდა.

დაგიწერთ ბარათს რატმიროვთან. იცნობთ რატმიროვს, იგი ცნობილია როგორც თეატრის რეცენზენტი. იმას ბევრგან აქვს კავშირი... მეც ელვიროჩკასგნით მეანგარიშება... უკაცრავად, მენათესავება. ჩემი გულისათვის ყველაფერს იზავს.

რატმიროვიც დიდად მოსიყვარულედ მხვდება.—ჩაი მომართვა, პაპიროსი მითავაზა...

— ძალიან მინდა რომ დაგეხმაროთ! წარმოსთქვა მან გულწრფელად, როგორც ვხედავ ნიჭიერი ახალგაზრდა ბრძანდებით, რეკამენდაციაც საუცხოვო გაქვსთ.

—არხიპლუტოვი! იცით, იმას ხუთ მილიონზე მეტი ექნება. მაგრამ რა მოვიგონო თქვენთვის, რა?

იგი შუბლზე ხელის სმას მოჰყვა. ბოლოს სიხარულით დაიძახა:

— წერილს გაგატანთ ალექსანდროვთან, ზეგ თამაშობს დიდ როლს... მგონია, უარს ვერ მეტყვის.

ალექსანდროვმა ძალიან კარგად მიმიღო, ჩაი დამალევინა, პაპიროსი მითავაზა.

— რატმიროვისთვის ყველაფერს ვიზავ, ყველაფერს!—წარმოსთქვა გრძნობა მორევით—ყველაფერს!..

მაგრამ მაშინვე შედგა...

— ჩვენ რომ ადგილი არაფერი გვაქვს.. სრულებით... წარმოსთქვა შეფიქრიანებულმა.

კარისკაცის ადგილზე ოცი მთხოვნელი ელოდება...

ალექსანდროვი ოთახში ბოლთას შეუდგა. უცებ გაბრწყინვებულმა დაიძახა:

— იცით რა გითხრათ—დაგიწერთ ბარათს...

და აი დამიწერა თქვენთან...

— საწყალო კაცო! წარმოვსთქვი უნებურად.

სულითა და გულით მებრალებოდა ეს ახალგაზრდა კაცი, გახუნებული ზედა ტანით.

უსათუოდ ვუშველი,—გადავწყვიტე ჩემს გულში, და ვკითხე —თქვენ ლექსებსა სწერთ?

ახალგაზრდამ გაიღიმა.

— სუსტათ. ბ ნმა ალექსანდროვმა გადააჭარბა, რომ თქვენი ყურადღება მოექცია ჩემზედ. ბულალტერია კარგად ვიცი.

ჰო, ეს საუცხოვოა, მე მყავს ნაცნობი კომერსანტი და მასთან მიგიწერთ.

ახალგაზრდამ თვალები დაჰხარა.

— ნუ იფიქრებთ—დავიწყე მე ცხარედ—რომ ეს წერილი ეგვანება სხვებს რომლებიც თქვენთვის ისეთი უნაყოფონი გამოდგნენ. მე თქვენ მიგიწერთ წყნარსა და პატიოსან კომერსანტს; იგი მდიდარი არ არის მაგრამ, აწარმოებს ფართე კომერციულ საქმეებს. გარდა ამისა იგი ძალიან გულმტკივნეული ადამიანია, ერთი სიტყვით თქვენვე ნახავთ...

მე აღელვებითა ვწერდი სტრიქონს-სტრიქონზედ. წერილი გულთბილად დამარწმუნებელი გამოვიდა.

აჰათ! წადით დღესვე, მე დარწმუნებული ვარ... და გადავეცი დაბეჭდილი ბარათი. მაგრამ ამ წუთში ახალგაზრდა კაცის თვალები მისამართს დააცქერდნენ და ტუჩზე მწარე ღიმილი დააჩნდა.

თქვენ იცნობთ ამ პირს—ვკითხე გულნატკენმა.

— ვიცნობ!.. ეგ ხომ ის ჩემი თანამემამულეა... ის ბირჟის დალალი რომელსაც პირველად მივუტანე წერილი.

რამდენიმე წამი ვისხედით თავ ჩაქინდრულები, თვალი-თვალს ველარ გავუსწორეთ...

**ბაბილინა.**

# ქალდეას სიზმრები

მწველი ოცნებით ვკოცნი ნაკვალევს,
ვიგონებ მიმქრალ ქალდეას სიზმრებს,
მოგვ-წინაპართა სული გვავალებს,
არ გავეყაროთ დამწვარ ქიმერებს...
ძველი სახება საქართველოსი
საუკუნეთა უალში ჰკრთება.
სიზმართ კოცონმა დასწვა ქაოსი
აღმოსავლეთი ცეცხლით ინთება.
ცისა ლაჟვარდი რძით დაიცვარა,
დევის ნიფეხურს სდევს სხივთ კამარა,
და დიდ უდაბნოს გაცხელებულ სულს
ღმერთმა კალთები გადააფარა...
ისმის სიმღერა ძველი იმედის...
ისმის სიმღერა დამღუპველ ბედის...
უდაბნო ისმენს, უდაბნო მკვდარი...
უდაბნო ცხელი სიზმრით დამდნარი...
— ტიგროს, ეფრატი გირწევდა აკვანს.
და კუბოს გირწევს რიონი, მტკვარი,
ძველ აღთქმის სიტყვა საფლავს ჩაატანს
—ჟამია, აღდგეს ელეაზარი...

ტ. ტაბიძე.

# ხ ლ ა რ თ ი

ვერ ამოვქსელე!—რა რიგ ხლართია...
რა რიგ ხლართია მონობის ძაფი!
ვერ ამოვქსელე, დავიღალე და
არღარაისთვის აღარ ვისწრაფი!

კარგს ვერას გეტყვით, კარგს ვერას გეტყვით...
მხიარულს ამბავს ვერ მოგიყვებით, —
სევდამ დასჩრდილა სიმხიარულე
და გულიც სევდამ დაჰქოლა ქვებით.

კარგს ვერას გეტყვით!—ბლარდნი სევდისა
ისე მაწუხებს და მიმორჩილებს:—
„წყურვილი მოჰკლავს ჩემს საცოდავს სულს"—
ლამის შევჩივლო პატარა შვილებს.

ვერ ამოვქსელე! რა რიგ ხლართია...
რა რიგ ხლართია მონობის ძაფი!
ვერ ამოვქსელე, დავიღალე და
არღარაისთვის აღარ ვისწრაფი.

**ბაბილინა.**

**გამდელი.** ამბავი მოაქვთ.
იგინი ჩემნი დაგზავნილნი იყვნენ.—მობრძანდით!

გამოსვლა III **იგინივე და მოციქულები.**

**მოციქულები.** აქა მშვიდობა და გამარჯვება!
I **მოციქული.** ქართლოს ქვეყნები დავიარე და ხალხი შევძარ.
ვისაც კი ომში იარაღის ხმარება ძალუძს,
ყველა მზად არის დიდებისთვის მტერს შეებრძოლოს
და შენს ბრძანებას აწ გამდელო, ელოდებიან!
II **მოციქული.** კახოს ქვეყნები დავიარე და ყველა ერთხმად
ჩემს მოწოდებას მიეგება. მეხრე თუ მწყემსი,
გუთნის პატრონი, მეზვრე თუ სხვა მიწის მუშაკი
მოხუცებული ქალი, კაცი, შეიარაღდა
და შენს ბრძანებას აწ, გამდელო, ელოდებიან!
III **მოციქული.** იმეროს ქვეყნად იარაღში ჩასხმულნი დამხვდნენ
და უჩვენოდაც აპირებდნენ გამოლაშქრებას,
დედათა რაზმი წინ ისწრაფვის ივერიკოსთვის
თავდასადებად —
**გამდელი.** და ბრძანებას ელოდებიან?
აი, ბრძანებას დღეს ვინ გასცემს. სამი რაინდი!
(გარედ ისმის ხმაურობა)
რა ამბავია?
**ქალები.** სარდალი მოდის მხლებლებითა!
**გამდელი.** სუნით დაგვეძებს?
აბა, მობრძანდეს! აღარაფრის შიში აღარ გვაქვს!
გაკაჟდა გული და მარჯვენამ აწ ძალა ჰპოვა!
შეითქვა სამი რაინდი,
აბჯართ გაუდის ჩხარია;
მათი მარჯვენა მახვილით
მტრისთვის რისხვა და ზარია!

გამოსვლა IV. **იგინივე, ლომას სარდალი და დარაჯნი.**

**ლომას სარდალი.** (შემოდის რამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცით)
რა ამბავია? როგორ ჰბედავთ აქ თავის მოყრას,
როდეს ეს უკვე აკრძალული გქონდათ თქვენ ჩემგან?
(ქართლოს)
შენ ლომარაინდს თან ეხელ აქ სიდან გაჩნდი?
საეჭვო არის!
(გამდელს)
აქ მოვსულვარ შენს შესაპყრობად,
რადგან ურჩობას მიბედავ მე ბატონის მსახურს
და შეთქმულებას ხელმძღვანელობ! უარს ვერ იტყვი.
ერთი ასეთი შეთქმულობა უკვე მოვსრისე.
ლომარაინდის სახელითა თქვენცა გიცხადებთ
თვით გაიყაროთ ეს ბორკილნი და თან წამომყვეთ!
**გამდელი.** ოჰ, როგორ არა, როგორ არა, დიდო სარდალო
ყველანი შენი მორჩილნი ვართ—ასე გვიბრძანებს
ლომარაინდი და უსიტყვოდ ჩვენცა გთანხმდებით
და იმის მეტი ჩვენ უბედურთ რა დაგვრჩენია
თუ არა ის, რომ მოწიწებით მადლობა გითხრათ
მოწყალებისთვის, რაიც ყველას სიკვდილს გვიმზადებს —
აჰა, მადლობაც! (მახვილს ჩასცემს)
**ქალები.** (ხმლებით სხვა მხლებლებს შეებრძოლებიან)
**ლომას სარდალი.** ამბოხია! ჩემს ჯარს აცნობეთ!
**გამდელი.** ჩვენ თვით ვაცნობებთ.
რომ მათაც ბოლო მოელებათ ასე შენსავით!
განა დავინდობ, ივერიკოს ვინც არ დაინდო?
შურის ძიება! დედა თქვენი დღეს ამას გირჩევთ!
(ბაირაღს აafრიალებს)
ქართლო, იმერო და შენც კახო წინ გაგვიძეხით.
გარედ ჩვენები ტყის ნაპირად გველოდებიან.
(ქართლოს)
უიარაღოს გხედავ შენა! აჰა მახვილი!
ერთი შტო უკვე ივერიკოს მტრის ხეს მოჰკვეთა!
აბა, ქალებო, მოუტანეთ აბჯარ-ჩაჩქანი.
(შემოურბენინებენ აბჯარს და აცმევენ)
ეს ბაირაღი მომსწრე არის მრავალ დროების
და ბევრ ბრძოლაში გადაშლილა, რომ ჩვენთვის ემცნო
თავისუფლების დაბრუნება, ჩვენი აღდგენა!
გასწით წინ და გზა გაუკაფეთ ამ მოციქულსა!
ჩემი მარჯვენა ამ ბაირაღს მკვიდრად დაიჭერს
და მისთვის ბრძოლის მაგალითსა ქალებს მე მივსცემ!
გასწით წინ მედგრად! დღეს დედებიც გვერდში გიდგანან!
წყევლა, ვინც უკან დაიხიოს!
**ყველანი.** ამინ! ფიცსა ვსდებთ!
**გამდელი.** ივერიკოსთვის დავდებთ თავსა და ჩვენს სიცოცხლეს;
**ყველანი.** ვფიცავთ სამგზითა!
**კახო.**
**ქართლო.** (ხელებს მახვილზე დაადებენ)
**იმერო.**

ვფიცავთ ჩვენს ძმობას,
ჩვენს ვაჟკაცობას,—
ძმათა კავშირი
აწ იქმნეს მკვიდრი!..

## სურათი მეორე.

**დარბაზი ლომა-რაინდის ციხე-კოშკში.**

სვეტზე მიკრული ივერიკო. თავზე ეკლის გვირგვინი ადგია და შუბლზე შემხმარი სისხლი ამჩნევია. მის წინ მხევალია მუხლმოყრილი და კალთას ეხვევა. ბნელა.

გამოსვლა V. **ივერიკო და მხევალი.**

**ივერიკო.** (ამოკვნესით) სხეული ჩემი მოიღალა!
**მხევალი.** დედოფალო, გემუდარები!
აგიხსნი ხელებს, ვიდრე მოვლენ, აქ მე დავსდგები!
და მე დავიდგავ ეკლის გვირგვინს.—ო, დედოფალო!
**ივერიკო.** ეგ სამსახური განა ტანჯვას შემიმსუბუქებს:
გულის ტკივილი ჩემი ღრმაა! სული დაეძებს:
ო, სად არიან ჩემნი გმირნი, ჩემნი რაინდნი?
ახ, როდის მოვლენ? ტყვეობიდან როს დამიხსნიან?
**მხევალი.** მინდა რამ გითხრა!.. (ათვალიერებს რომ ყურს არვინ უგდებდეს).
— არვინ არის... გარშემო მყუდრობს... (ივერიკოს ჩუმად)
ლომა-რაინდის მხევლებისთვის წესი ასეა:
მორიგეობით მის სარეცელს უნდა ვეწვივნეთ.
ასეთი ჯერი დღეს მე შემხვდა——(იდუმალობით გამსჭვალული დანას უჩვენებს)
ჰხედავ, ამ დანას?
უკვე ვიზრუნე წინდაწინვე— — — ჩემის ალერსით
ვეცდები იგი მოვხიბლო, და — — — როს ტრფობისაგან
თავდავიწყებას მიეცემა — — — —
**ივერიკო.** ასულო ტურფავ!— —
**მხევალი.** ამ დანას ჩავცემ!
**ივერიკო.** არა, არა!
**მხევალი.** ჩვენ კი გავიქცეთ!
**ივერიკო.** ვერ გავიქცევით! უძლური ვარ მე უმიჯნუროდ.
ლომა-რაინდი თუნდაც მოკვდეს, მას სხვა მხედარი
მოეპოვება — — მიჯნურებმა უნდა დამიხსნან! —
(მოგონებით გატაცებული)
. . . და ვიყავ ერთ დროს დედოფალი თავისუფალი
და ჩემს გარშემო ერი ჩემი მხიარულობდა —
დღეს კი მონა ვარ და ჩემს ირგვლივ ცრემლის გუბე სდგას.
ერთ დროს გვირგვინი თავზე მედგა და მზის სხივებით
იქარგებოდა ჩემი სახე, რომლის სინათლე
სიყვარულს ჰფენდა ჩემს რაინდებს და ჩემსა ერსა —
დღეს კი ჩემს ირგვლივ წყვდიადია
და ჩემსა შუბლზე სისხლის წვეთი, ეკლის გვირგვინით.
ერთ დროს ხელთ მეპყრა ივერიელთ სკიპტრა ძვირფასი
და ტახტზე ვიჯექ, საიდანაც ხალხს განვაგებდი, —
დღეს კი აქ სვეტზე მიკრული ვარ გლახ სატანჯველად
და მოთქმა მხდება—
**მხევალი.** თანავიგრძნობ შენს მწუხარებას!
**ივერიკო,** (უფრო მეტის სულიერ ღელვით)
და ნუ თუ დავრჩე მუდამ ასე დამონებული?
ჩემს სათაყვანო რაინდთაგან მიტოვებული?
ვინ დამიბრუნოს კვლავ გვირგვინი, სკიპტრა და ტახტი?
ვინ აღმიდგინოს ერი ჩემი დამდაბლებული?
ო, მოდით, მოდით საყვარელნო ჩემნო რაინდნო!
**მხევალი.** სხეული შენი დაიღალა, ო, დედოფალო!
**ივერიკო.** ო, მზეო, მზეო! მასულდგმულე, კვალად მეჩვენე!
**მხევალი.** ჩუ! რაღაც ხმაა... (გადის და შემდეგ შეშინებული ბრუნდება)
თვალით ვიხილე საზარელი სანახაობა.
იქ ყველა ფხიზლობს და რომ კვნესის, თვით ლომა არის.
ამსხვრევს ყველაფერს ხელქმნილი და გაშმაგებული.
ის ტახტზე იყო დამხობილი, ხოლო მის დედას
ხანჯალი ეპყრა; სჩანდა, ხელით გამოეგლიჯნა.
ეუბნებოდა: შენს თავს შენვე რისთვის იკლავო;
ველარ შევბედე შიგნით შესვლა — — აქეთ მოდიან!

(დასასრული იქნება)

ლობის ფარგლებში. სახეში გვაქვს რეფორმები ერობის ტიპისა. ამიტომ შეგნებული ადამიანი წინდაწინ გაფრთხილებული უნდა იყვეს. ილიუზიებს არ უნდა მიეცეს გონიერი და არც რამ სიურპრიზებს უნდა მოელოდეს იგი. სკოლების გახსნის სეზონში, ქართველი საზოგადოებრივი შეგნებაც ეგზამენის წინაშე წარსდგება.

ვეცადოთ, არ ჩავიჭრათ!

ს. კ—დია.

## ახალი ამბავი

ეუწყება ქართველ საზოგადოებას, რომ დიდუბის ეკლესიაში დღეს 13 სექტემბერს

**მგოსან ვაჟა-ფშაველას**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი.

**თბილისის კოოპერატივის** გამგეობას მაღაზიისათვის უკვე დაუქირავებია ბინა ოლღას ქუჩაზე. კოოპერატივს ამ ჟამად 600 წევრი ჰყავს, რომელთაც 6.000 მანეთი შეუტანიათ ამხანაგობის კასაში. ამხანაგობის გამგეობას უკვე გამოუწერია საჭირო საქონელი მოსკოვიდან და როსტოვიდან. საქონლის დიდი ნაწილი კიდევაც მოსულიათ. 11 სექტემბერს გამგეობამ დაადგინა, ვაჭრობა დაიწყოს 26 სექტემბრიდან.

**კრების მოწვევა.** 11 სექტემბერს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, სანამ საზოგადოების წევრთა საერთო კრებას გამართავდეს, მოიწვიოს ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მათთან ერთად თათბირი იქონიოს მოუსავლობის რაოდენობისა და მის წინააღმდეგ ღონისძიებათა აღმოჩენის შესახებ.

**პასუხი საანკეტო ფურცლებზე.** როგორც ვიცით, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ მრავალი საანკეტო ფურცლები დაგზავნა სოფლებში ჭირნახულის საჭიროების შესახებ. ჯერ-ჯერობით გამგეობამ 21 ადგილიდან მიიღო პასუხი ანკეტისა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველანი დიდ გაჭირვებას იტყობინებიან. ამასთან ერთად ზოგნი ეკითხებიან გამგეობას,— მართლა შეგიძლიანთ თუ არა საკვების და სათესლეს მოწოდება და თუ შეგიძლიანთ, რა ფასებშიო.

**ხოლერა.** 11 და 12 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 4 და ხოლერის ნიშნებით 2 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 5, გამოეწერა ლაზარეთიდან 6 კაცი. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 163 და ხოლერის ნიშნებით 6 კაცი.

**გადამდები სენი.** 12 სექტემბერს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 50, ქუნთრუშიანი 37, საოფლიანი 27, ხუნაგიანი 21, მუცელაიანი 6 და ყვავილიანი 2 კაცი.

**მკვლელობა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ ახალციხიდან, ს. ცოთხევის მახლობლად ვილაცას მოუკლავს ადგილობრივი მემამულე აიდან ბეგი წერეთელი, მკვლელობას აბრალებენ შაი-არალ-ოღლის და ბელან-არიფ-ოღლის, რომელთაც წერეთელთან მტრობა ჰქონიათ.

**დაჯარიმება.** ტრამვაის ლიანდაგის უსუფთაობისათვის გუბერნატორმა 300 მანეთით დააჯარიმა ტრამვაის დირექტორი ბ-ნი ტახტაჯიანი. თუ ფულის გადახდას ვერ შესძლებს, ერთი თვით უნდა ჩაჯდეს ციხეში.

**ახალი გაზეთები.** გუბერნატორმა ნება დართო ივანე დუშურაშვილს გამოსცეს თბილისში ქართულ ენაზე ყოველკვირეული გაზეთი „ზვირთი“. ასეთივე ნებართვა მიიღო ბ-ნმა სიმონ კალანდაძემ, რომლის გაზეთს ერქმევა „ახალი ტალღა“.

**ღვინის გაყიდვისთვის** გუბერნატორმა დააჯარიმა ას-ასი მანეთით ლაზარე გოძიევი და ვასილ მელიქ-ნუბაროვი. ფულს თუ არ შეიტანენ, თვით უნდა ჩასხდნენ ციხეში.

**დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.** თბილისის სხვადასხვა ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: კაკაბაია ემანუილ, ქათამაძე ვასილ ივანეს ძე, ქურელიშვილი ნიკო არტემის ძე, ჯამიშვილი ანდრია, ბესელია დიმიტრი ზურაბის ძე, ბერძენიშვილი კაპიტონ ნიკოლოზის ძე, ბუგაძე სამსონ ალექსის ძე, შუშაკიძე ივანე ვლადიმერის ძე, ქიტეიშვილი არსენ სიმონის ძე, ხევცურიანი იაკობ გიგოს ძე, არაბიძე მალაქია როსტომის ძე, ჯავახიშვილი ალექსანდრე დავითის ძე, გოგაშიძე ვარლამ უფლის ძე.

ამათ გარდა რკინის გზის სადგურ გეორგიევსკში (თერგის ოლქში) იმყოფებიან: ქერჩაძე გიორგი ნიკოლოზის ძე (ოზურგეთის მაზრ.), ქელაბაძე ილია ივანეს ძე (გორის მაზრ.), მეგრელიშვილი სიმონ ივანეს ძე (შორაპნის მაზრ.), ლომთაძე ოქროპირ პეტრეს ძე (ლეჩხუმის მაზრ.), ჯენაია დიმიტრი (ზუგდიდის მაზრ.), გვრიტიშვილი გიორგი სეხნიას ძე (დუშეთის მაზრ.), ვაძიშვილი ფედრო ივანეს ძე (დუშეთის მაზრ.), მეკუტაშვილი ალექსი ივანეს ძე (თიანეთის მაზრ.), კაპანაძე სიმონ (ქუთაისის მაზრ.), ასანიძე სერაპიონ სარდიონის ძე (შორაპნის მაზრ.), კვირკვაშვილი ესოფი საბას ძე (ლეჩხუმის მაზრ.).

**დ. ხონი**

— ამას წინად მოხდა კრება თეატრის შენობის აგების გამო. კრებაზე გადასწყვიტეს შენობა აშენდეს ბაღში, ადგილის დათმობა უნდა სთხოვონ ხონის საზოგადოებას.

— საზაფხულო სეზონი 15 მარიობისთვეს გათავდა. სეზონის შემდეგ კიდევ გაიმართა რამდენიმე წარმოდგენა. წარმოდგენებმა წელს ძლიერ კარგად ჩაიარა.

ამ ხანებში ქურდობა და ავაზაკობა ძლიერ გავრცელდა. ღარიბ ხალხს პირიდან ლუკმასართმევენ.

— ყოველგვარი სამოსწავლო ნივთი თან და თან ძვირდება.

— ხონსა და მის ახლო მახლო მიდამოებში ვენახები ძლიერ ნაკლებად არის მოშენებული; რაც არის, ისიც გაფუჭებულია. მტევნები დამწვარია.

— ხონის ბაზარი ძლიერ უსუფთაოდ არის და არავინ ყურადღებას არ აქცევს.

— კვირას, 6 ენკენისთვეს გაიმართა უკანასკნელი წარმოდგენა. წარმოადგინეს „უბედური ოჯახი“.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ მეთაურში დაბეჭდილია: ამ ამბავმა ჯერ მხოლოდ ერთად ერთი მცნება იცის. უნდა იყოს: ამ **ბანაკმა** და სხ..

## ვაჟას ხსოვნას

აჰა, შესრულდა ორმოც დღეზე მეტი, რაც ჩვენი მგოსანი ვაჟა გარდაიცვალა. გავისტუმრეთ იგი ამა სოფლიდგან ჯერედ კიდევ ერისგან შეუცნობელი და მეგობართაგან დავიწყებული. ვამბობ: ჯერედ კიდევ ერისგან შეუცნობელი-მეთქი, მაგრამ არა! ერი მას კარგად იცნობდა, რადგან თვით ერი ღაღადებდა მასში!—არ იცნობდა მხოლოდ უმეტესობა ქართველ ინტელიგენციისა, რომელნიც მოწყვეტილან ქართულ სულს და ქართულ გრძნობას, რომელთაც დაუკარგავთ ალღო მშობლიო ბუნებრიობისა და ბუმბერაზობისა და სხვაგან ეძიებენ ყოველგვარ „საუცხოვოს“.

ვაჟა მომავალ დროის მგოსანია. გაივლის რამდენიმე ხანი და იგი შთამომავლობისთვის თან და თან გაიზრდება. „წყალნი წავლენ და წამოვლენ“, ხოლო ბუნების ცოცხლად შემგრძნობელი და ცოცხლადვე გადმომღები თვისის მჭყობრხმოვანებით ჰანგების რითმებში, გრძნობის მეჩანგე, რომლის სიმღერა კამკამა და სპეტაკი არის, ვით დილის ნამი ქარვის-ფერ ყურძნის მტევანზე შემოდგომის სხივთაგან ათრთოლებული, სულის სიმთა ამაჟღერალი: ხან კდემა მოსილ სიწყნარით ვით სიო ბარისა, ხან კი მძაფრად და მქუხარედ ვით გრიგალი და მდინარე სალ კლდეებისა. მგოსანი ბუნების საიდუმლოებისა, რომლის ნაპერწკალი ხან ჟრუანტელად უვლის თანამემამულეს და ხან აღაგზნებს და აღაფრთოვანებს ჯანსაღ გრძნობათა ტალღებსა და ცხოველ სამშობლოში გარდასაფრენად; მგოსანი—მამულიშვილი, რომელიც არც სხვას ართმევდა სამშობლოს და არც თვით ანებებდა [illegible]—მომავალ ჟამთა [illegible].

რამდენიც დრო გავა, იმდენად მიუახლოვდება მას ქართლოსიანთა მოდგმა, რადგან მისი ყოველი ნაბიჯი მემრისსკენ იყო გადადგმული, იგი წინ ისწრაფოდა, მან ჩვენ რამდენიმე საუკუნით წინ გაგვასწრო, შევყურებდით მას და მის სხივთაგან თვალი მოგვეჭრა და ვამბობდით გულში: სად არის ის მზე, რომელიც ჩვენ გვათბობსო?!

შთავხედეთ საფლავს და ჩვენ მომაკვდავთ მხოლოდ იქ ვიხილეთ მის სხეულთაგან ძვალნი განშიშვლებულნი და ხორცი თიხად ქცეული. შეშინებულებმა ვსთქვით: ჭეშმარიტად, ამაოა ყოველივეო, მაგრამ ვაჟას სული და გრძნობა, აზრი და საქმე ებრძვის ამ საშინელ ამაოებას და ჩვენც თან გვიტაცებს უკუღმართ ცხოვრებასთან საბრძოლველად!

სანდრო შანშიაშვილი.

## მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზედ

ენით ვერ გამოითქმება და ვერც აიწერება სინამდვილით—უნდა კაცს თვითონ თავისი თვალით ეხილა და დამტკბარიყო—ის კეთილგანწყობილება, სიყვარული და პატივისცემა, როგორიც ჰსუფევდა და ჰსუფევს ძმებ რაზიკაშვილებში საზოგადოდ. საუცხოვო სურათს წარმოადგენდა ყოველთვის, როცა ყველა ძმები—რაზიკაშვილები ერთად იკრიბებოდნენ. მომეტებულ ნაწილად მოიყრიდნენ ხოლმე ერთად თავს ვაჟა, თედო, სანდრო—ამის სახლში, თუმცა მიხა, ნიკო-ბჩანა, ხშირად ვერ ესწრებოდნენ ხოლმე მათ. პირდაპირ სადღესასწაულო ხასიეთი ეძლევოდა მათს ერთად შეკრებას. მხიარული ბაასი, სიცილი, ხუმრობა სუფრაზედ, თუ სუფრის გარეშე, დაუსრულებელი იყო. ხშირად თედო და სანდრო და მათთან მიხაც მისცემდნენ ხოლმე ერთმანეთს პირი-პირს და აუტეხამდნენ ვაჟას ხუმრობის დაცინვას, რომ გაეჯავრებინათ იგი, მაგრამ ვაჟა ლომივით იგერიებდა ყველას და არა ყოფილა ისეთი წამი, რომ მის სა-

---

თიერი ანაზღაურება, რომლითაც მკვლელობისა და ხელის მოჭრისთვის დამნაშავეს ჰკლავენ ან და ხელს სჭრიან. კანონმდებლობის შემდეგ განვითარების ხანაში, როდესაც იგი უმჯობესად არკვევს სამართლიანობის ცნებას და არსებით მხარეს, რაიც უძველეს დროიდანვე დამყარებული იყო „თვალი თვალისა და კბილი კბილისას“ პრინციპზე, ნივთიერი მისაგებელი ადგილს უთმობს ფორმალურს, რის გამოც დამნაშავეს იმავე ბოროტით კი არ უხდიან სამაგიროს, არამედ აყენებენ რაიმე საგრძნობელ ტანჯვას. ამ ტანჯვის რაოდენობა უდრის არა მარტო მიყენებულ ბოროტებას, არამედ თვით იმ შეგნების ხარისხსაც, რომელსაც დამნაშავე იჩენდა მოქმედების დროს. ასეთია საზოგადოდ ისტორიული პროცესი დანაშაულისა და სასჯელის განვითარებისა ყოველგან. ეს პროცესივე ჰხდება ქართველებში, როგორც ამას დავინახავთ ამ ერის საკანონმდებლო ძეგლიდან.

„მეფე ვახტანგ მეხუთე კანონთა კრებული“ შეიცავს შემდეგ დარგებს: 1) კანონთა კრებულს, რომელნიც თვით მეფე ვახტანგს ან შეუდგენია ან და მოუკრებია ქვეშევრდომთა შორის 1709 წლამდე, როდესაც იგი საქართველოს მმართველად დაინიშნა მეფე გიორგი მეთერთმეტეს შინ არ ყოფნის დროს: 2) მეფე გიორგი ბრწყინვალის (1318—1346) კანონებს; 3) ბექას კანონებს (1361—1301), რომელნიც მისმა შვილიშვილმა აღბუღამ შეავსო (1444—1451) 4) კათალიკოსთა კანონებს (1605—1639), 5) მოსეს კანონებს, რომელნიც ამოუღია ეგრედ წოდებულ სასჯელის კანონებიდან“, 6) ბერძნულ კანონებს, რაიც შეადგენდა ლეონ ბრძენისა, კონსტანტინისა და სხვა მეფეთა მიერ მეფეთა და მსაჯულთა სახელმძღვანელოს, 7) სომხურ კანონებს, რომელთაც ჩვენი ისტორიკოს-არქეოლოგი განსვენებულ დ. ბაქრაძის სიტყვით დედნობას უწევდათ მეხითარ გოშას კანონები. ეს ერთი ბრწყინვალე პირთაგანი გახლდათ სომეხთა ისტორიაში მეთორმეტე-მეცამეტე საუკ.; 8) და ბოლოს „ადათებს“, რომელნიც ქართველ მეფეთა დროს შემოუღიათ —აი, ასეთი წეს-რიგით გამოუციათ ეს „კანონები“ რუსულ ენაზე ფრენკლენის გამოცემაში. ქართულ ხელნაწერში კი, რომელიც ამ ჟამად ხელში მაქვს, ეს კანონები ასეთ რიგზეა დაწყებული: 1) მოსეს კანონები; 2) ბერძნული; 3) სომხური; 4) კათალიკოსებისა; 5) გიორგისა; 6) აღბუღასი და 7) ვახტანგისა. ამ სიაში „ადათები“ არ არის ნახსენები, რადგანაც ესენი მოჰკრიბეს შემდეგ რუსეთის მმართველობის დროს საქართველოში სამოქალაქო საქმეთა საწარმოებლად „ქართულ ადათების მიხედვით“.

მაგრამ ვიდრე ჩემს დანიშნულს საგანს შევეხებოდე, მე მსურდა გამეცნო თქვენთვის ქართველ სჯულმდებელთა ცხოვრება და მოქმედება.

საქართველო, როგორც ეს მშვენივრად დაახასიათა თავადმა ბარათაშვილმა²), თავის ზნეობრივი მდგომარეობით წარმოადგენს კუნძულს, რომელიც ომიანობის ზვირთების გამო მოსწყვეტია ევროპის ხმელეთს და აზიის ხანაპიროდ გარიყულა. ძველ ისტორიის ამბებს და ქრისტიანულ სარწმუნოებას ისეთი დიდი გავლენა ჰქონდათ მაზე, ისეთი ზნეობრივი ბეჭედი დაასვეს, რომ იგი თუ ევროპის ხასიათის ქვეყნად არ დარჩა, სამაგიეროდ შეძლებისა დაგვარად ამ ორი ქვეყნის თვისება აშკარად გადავიდა ქართველი ერის ცხოვრებაში. თუ განათლების მხრივ საქართველო ევროპის დონემდე ვერ ავიდა, ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მისი ისტორიული წარსული, შეუწყვეტელი ომიანობა, რაიც მთელი ერის სულიერ მოქმედებას ახშობდა და ანადგურებდა. მაგრამ მართლმადიდებელი საქართველო თვით ამ წამებაშიც დიდხანს არ ურიგდებოდა მონობის უღელს და თვის შვილთა მამაცობით მეფეთა ბრძნული მხედართმთავრობით, ცალ ხელში ჯვრით და მეორე [illegible] სპარსთა და ოსმალთ, სპობდნენ მათ მიერ შემოტანილს ცეცხლთაყვანისმცემლობას და ალივსებოდნენ რელიგიური სიწმიდითა და სიძლიერით. როგორც მთელი ხალხი და თავის ქვეყნის მოსიყვარულე ერი, ქართველობა მარად მადლიერი რჩებოდა მისი ღვაწლისა. იგი დაშორებული იყო ვაჭრობას, მას უსარგებლო და სამარცხვინო ხელობად სთვლიდა, მისი სასოების ნავთსაყუდარი იყო რწმენა და მით გამსჭვალული მტკიცედ იცავდა როგორც მას, ისე მის გამფურჩქვნელ აკვანს —სამშობლოს. მონღოლთა შემოსევამდე სპარსელებმა ვერ შესძლეს საქართველოს ქედის მოხრა, თუმცა რიცხვით ბევრად აღემატებოდნენ მას. მხოლოდ მონღოლთა შემოსევამ ჩამოჰკრა საქართველოს სამგლოვიარო ზარი, საშინელი დაღი დაასვა და გასტეხა მისი სიძლიერე, ხალხი გატყდა, დაეცა, გაღატაკდა, შემუსვრილ იქმნა მეფეთა ძლიერება და მათი მეუფება იმდენად დააძაბუნეს, რომ უმნიშვნელო ფეოდალებიც კი, თუ შეიძლება ეს სახელი ვუწოდოთ პატარ-პატარა ოლქების მთავრებს, თავს მაღლა სწევდნენ და ურჩობას უწევდნენ მათ. „მან დაჰბადა ურთიერთ შორის შური და მტრობა, აჯანყება, ქურდობა, მძარცველობა, მკვლელობა და ათასი რამ გარეშე თუ შინაური უბედურება, ამ ყოფაშია საქართველო თითქმის ორ საუკუნის განმავლობაში, რამაც გაამეფა ბარბაროსობა და მოსპო ერის ყოველგვარი კეთილდღეობის საფუძველი“³).

ამ შავბნელ დროს სასოწარკვეთილ საქართველოს განგება მოუვლენს მხსნელს და მანუგეშებელს გიორგი მეხუთეს, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავს. მისმა მადლიერმა ერმა ტყუილად არ უწოდა მას **ბრწყინვალე**. აქ ადგილი არ არის ჩამოვთვალოთ მთელი მისი მოღვაწეობა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მან თვისი გმირობით, საოცარი გამჭრიახობით და ტაქტით მოსპო მონღოლთა ბატონობა და დაქსაქსული საქართველო კვლავ ერთი დროშის ქვეშ დააყენა. ამიერიდან მახვილი მისი ისეთივე მრისხანე შეიქმნა მოსაზღვრე მტრებისთვის, როგორც მისი წინაპრებისა. მას ქვეყნის შინაური მოწესრიგებაც არ დაუვიწყნია: მტრისგან შეურაცხყოფილი და შევინებული მართლმადიდებლობა კვლავ აღადგინა, ფრთა გააშლევინა მოქალაქეობრივ ცხოვრებას და მისცა შესაფერი კანონები: „შემოიკრიბა კათალიკოსები და ეპისკოპოზები,—ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში“,—და მათთან ერთად განაახლა ეკლესია“⁴). ასევე გამოსცა სამოქალაქო კანონები. სამწუხაროდ ამ კანონებს ჩვენამდინ არ მოუღწევიათ, თუმცა იმ დროის მთელ საქართველოს მიმოჰფინეს. მათ შორის მხოლოდ მცირედი არის დაცული, რაიც გადარჩა ერთს პატარა ოლქში, რომელიც ზემო არაგვისა და ქსნის შუა მდებარეობს. ამ კანონებს ჰქვიანთ „**ძეგლის დება**“, რაიც დიდად წაავავს საქართველოს ძველ საკანონმდებლო სახელწოდებას: ძეგლის წერა. ეს კანონები შეტანილი აქვს მეფე ვახტანგს თავის კრებულში „მეფე გიორგის კანონების“ სახელით. გიორგი მეფის საბიოგრაფიოდ ძალიან მცირე მასალა მოგვეპოვება. მხოლოდ ბატონიშვილმა ვახუშტიმ მოჰკრიბა მცირეოდენი ამბები, რაიც თავის ისტორიაში აღნიშნა შემდეგი სათაურით: „შემატება“⁵). გიორგი მეხუთე გახლდათ დიმიტრი თავდადებულის შვილი. დედა მისი, მესამე ცოლი მეფისა, სამცხის ცნობილ სპასალარ ბექა I-ის ასული იყო, სახელად ნათელა. ბროსეს გამოანგარიშებით გიორგი დაიბადა 1286 წ. მეფე დიმიტრიმ, ყაენთან გამგზავრების წინ თითქოს წინდაწინვე იგრძნო თავის შავბედითი მომავალიო, შინაური საქმეები მოაწესრიგა, რომ ოჯახი უზრუნველ ეყო და სამი წლის გიორგი გაისტუმრა მის პაპა ბექა I-თან. ხანის მკაცრი განკარგულებით დიმიტრის თავი მოჰკვეთეს, როგორც მის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობის მიმღებს. ამიერიდან მისი სამი წლის ვაჟი იზრდებოდა სახელოვან პაპასთან, რომელიც განთქმული იყო როგორც ერთი თვალსაჩინო მხედართმთავარი და მორწმუნე, სამართლიანი. იგივე ბექა განთქმული იყო როგორც კანონების მოყვარე ადამიანი. უეჭველია, ავტორი ცნობილი „ძეგლის დებისა“ ამ სასჯულმდებლო მოღვაწეობისთვის მომზადებული გახლდათ პაპის მიერ. 13 წლის გიორგი ხანის სურვილისაებრ საქართველოს ტახტზე ავიდა, უკედ, სატახტო ქალაქის—თბილისის მმართველად, რადგანაც ხანს ჰსურდა მეფის უფლებანი ამ ქალაქის საზღვრებით შემოეზღუდნა. ამ გვარი მეფობა გაგრძელდა ორ წელს. ამ გარემოებას ოდნავაც არ შეუმსუბუქებია ტანჯული ქვეყნის მძიმე ტვირთი, მონობის ღრტვინვა. ახალგაზდა მეფე გულის ტკივილით, ულონოდ შეჰყურებდა თვისი ერის ცხარე ცრემლებს, მის ტანჯვა-კვნესას. ორი წლის შემდეგ იგი იძულებული გახდა ტახტი დაეთმო თვის უფროს ძმისთვის, ვახტანგ მესამისთვის, რომელმაც თავის ერთგულებით ხანის გული მოიგო. გიორგი კვლავ დაუბრუნდა პაპას. შემდეგი მისი ცხოვრება 1308 წლ. სრულებით უცნობია, გამოურკვეველი. 1308 წ. იგი ინიშნება „რეგენტად“ მეფე დავითის უწლოვან შვილის მაგიერ. საქმე ის არის, რომ მეფე ვახტანგ მე-IIIის გარდაცვალების შემდეგ (1308 წ.), ხანი, როგორც თავისუფალი გამგებელი საქართველოს მეფეთა ტახტისა, სამეფო კვერთხს გადასცემს მეფე დავითის უწლოვან შვილს გიორგის. რომ ტახტი მუდამ უნიადაგო ყოფილიყო, ხანმა რეგენტად დანიშნა ჩვიდმეტი წლის ყრმა გიორგი V. მაგრამ ეს პოლიტიკური ფარსი მალე ქართველთა საბედნიეროდ დამთავრდა. გიორგი უკვე ოცი წლისა იყო, როდესაც ხანმა უბრძანა ერთ-ერთ ომში ჩარევა. სახელოვან პაპის სამხედრო სკოლაში გამოწრთვნილმა გიორგიმ დიდი ნიჭი გამოიჩინა და საყოველთაო სახელი და სიყვარული დაიმსახურა, განსაკუთრებით ნოინ ჩობანისა, რომელიც ამ ომს ხელმძღვანელობდა. ამასობაში გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიჭირა ნოინ ჩობანმა. გიორგისთვის უკეთესი დრო შეუძლებელი იყო. ამით ისარგებლა, რომ საქართველოს ბედის ღერძი შემოეტრიალებინა. იგი პირდაპირ ურდოში ეახლა ჩობანს, რომელმაც დიდი სიყვარულით მიიღო და „მთელ საქართველოს“ მბრძანებლად გამოაცხადა. ეს მოხდა 1318 წ. ამიერიდან „საქართველოს მეფე ღირსეულ მეფის პატივით მიიღების და იდიდების“. შემდეგი მისი მოღვაწეობა სიკვდილამდინ⁶) (1346) ის გახლდათ, რომ საქართველო ფაქტიურად გაეერთიანებინა და მით მოესპო ის პოლიტიკური დაქუცმაცება, რომელიც ხელოვნურად იქმნა გამეფებული ხანების მიერ. ეს მან სახელოვნად შეასრულა კიდეც, რისთვისაც „ბრწყინვალეს“ სახელი, მართლაც, ღირსეულად დაიმსახურა ჩვენს ისტორიაში.

(შემდეგი იქნება)

პ. კიზირია.

---

²) Князь Баратонъ: „Исторія Грузіи“, тетрадь № IV, стр. 30.

³) Пл. Іоселіани „Историческій взглядъ на Исторіи Грузіи подъ властю царей магометанъ“.

⁴) „ქართლის ცხ.“ I, გვ. 250.

⁵) ibib I, გვ. 447—451.

⁶) კრებული ვახტანგ მეფის კანონებისა, გვ. 81.

ხეს წყენა შესტყობოდეს, თუმცა ბევრჯელ ხუმრობას ძრიელ ამლაშებდნენ.

სიტყვიერად ხუმრობას ზოგჯერ დაერთობოდა ხოლმე ზედ—ბოლო ხანებში წაკითხვა ერთმანეთ შორის მიწერ-მოწერილი საოხუნჯო ლექსებისა, რომელნიც სანდროსა ჰქონდა და აქვს კიდევაც შენახული. მოვიყვან ზოგიერთ ლექსს—ძმათა შორის განწყობილების დასახასიათებლად.—ვინმე ბ-მა ვაჟას უძღვნა ლექსი, რომლის ჰანგიც გაიხადეს მიწერ-მოწერის ნიმუშად. ხოლო საგნად—ვაჟას „ცრემლების“ ცალკე წიგნად დასტამბვის ამბავი.

იწყობს სანდრო:

**ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას**

მიბაძვა ბ-ლისა

(ვაჟა-ფშაველას და გაჩეჩილაძის ბრძოლის გამო).

კვნესამე შენი, ვაჟაო,
კვნესამე შენი ხმისაო!
შემოუძახებს ვაჟაი
გა—ძეს ვ—საო:
„რა უყავ, ბიჭო ფულები
იმ ჩემი „ცრემლებისაო“?
არ გამოგადგა, ბეჩავო,
მოწმობა სამსონისაო.*)
დაგათვლევინო მთლიანდ,
მადლმა ლაშარის ჯვრისაო!
ამოდიოდეს კუნელი
მაგ შენი „სორაპნისაო“.
მათრახსაც კარგადა ვხმარობ,
ხანჯარიც კარგად სჭრისაო.
შენს დღეში დარდის უნახავს—
ეხლა გაგიჩენ ჭირსაო!“
ჭირიმე შენი, ვაჟაო,
შურთხი ხარ მაღლის მთისაო
იმედი მაქვის აიტან,
არ გეწყინება ძმისაო,
ამისი მალექსებელი
ქალაქ თბილისში ზისაო.
შენფერა ბიჭებისასა
სხვასაც მრავალსა სთხვზისაო“.

**ვაჟას პასუხი:**

„მიბაძვა ბ—ლისა (იხ. ლექსი: „ვაჟა-ფშაველას დედობილთ მიერ კვნესამე“ და „ჰა ბეჩავ, ბალღებო“).

**(ვუძღვნი ალექსანდრე რაზიკაშვილს)**

ჰა, ბეჩავ, სანდროს კვნესამე,
თვალების, ულვაშისაო:
ჰა, ბეჩავ, ბოთლების მცლელო
და მტერო ქალებისაო.
ჰა, ბეჩავ, სანდროს კვნესამე,
შე ჯიხო, სალის კლდისაო:
შეუდრეკელო სმაშია,
პირს ოფლი გადაგდისაო.
ჰა, ბეჩავ, სანდროს მოუვა
გორით წერილი ძმისაო,
და სატრფიალო გოდება
მიხასი დისწულისაო,
ჰა, ბეჩავ, სანდროს კვნესამე,
ქალზედა მაჩაბლისაო.
ჰა, ბეჩავ, ბეჩავ ბიჭებო!
არა ღალატობთ ჯიშსაო.
გიპატიჟებენ სმაზედა—
წერილი წერილს სცვლისაო.
ნეტავი თვალითა გნახოთ,
დრო რო დადგება სმისაო.
თეთრიანი როც დაცლილა,
წითლიან ქვევრსა ხდისაო
თევდორე: „ღვინოს უყურეთ
გემო აქვს ბადაგისაო“.
გავარდა საქართველოში
ხმა თქვენის ბიჭობისაო.
რა უჭირს ისეთ დედასა,
ვინც თქვენ ფერ შვილებს ზრდისაო.
ჰა, ბეჩავ, ფშავლის შვილებო—
თვალის მთხრელებო მტრისაო“

**ვაჟას უპასუხებს მიხა:**

„ვაჟა-ფშაველას დედობილთ მიერ კვნესამე. აქა ბრძოლა ვაჟა-ფშაველასი და გა—ისა. მიბაძვა ბ—სა.“

**(ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას)**

(ამ ძღვენს შეადგენს მთელი შვიდ თავიანი პოემა, სადაც არის აწერილი, თუ როგორ ემზადება ვაჟა საბრძოლველად). სიდიდისა გამო მომყავს მცირედი ამონაწერი:

„ფშავით დაიძრნენ ფშავლები
კორიანტელი დისაო.
ცრემლად დაცლილა ვაჟაი,
რა გაუჭირდა გმირსაო.
მუდამ მყვირალი ვაჟკაცი
ეხლა რაღაზედ სტირსაო?!
შეყრილან ახალ-უხლები
ვინ გამოუსწორობს ვისაო.
ჯღდეები მოდის თოფისა,
ვადები ბჭყვინავს ხმლისაო.
მოჰყავთ შეკმაზულ ნიკორი,
ადგამენ უნაგირსაო.
მაგრა უჭერენ თასმებსა,
გმირ არ დაეცეს ძირსაო;
სამ-სამთ უჭირავთ სადავე
ოფლი გადასდით პირსაო.
ტოტზედა დგება ნიკორი
ფეხთ არ აკარებს ძირსაო“.

თვით ვაჟამაც უძღვნა თავის თავს ამ საგანზედ ლექსი, რომელშიაც აწერილია, როგორა ქეიფობენ მის „ცრემლებში“ აღებული ფულით სხვები. ზოგიერთი მოსაზრებით არ მომყავს ლექსი სრულად, მხოლოდ ლექსის დასასრულს მოვიყვან:

„...არც სანდროს მისცე, არც ვაჟას,
ხელი გეკიდოს ჰკვაზედა.
ამ დროსა შიო მღვიმელი
პადვალში იჯდა სკამზედა.
ადღეგრძელებდა რაც კი რამ
არსებობს ქვეყანაზედა:
სამშობლოს, ლიტერატურას,
ქვაც თუ სადმე ძევს ქვაზედა,
თამადათ ამორჩეულსა
ჯდომა უხდება ჯარზედა.
გვერდს უზის ბუქურაული,
ყანწებსა სცლიდა ყანწზედა.
მოსაკრავები ატკბობენ,
კიკლა ჰანგსა სცვლის ჰანგზედა,
მოსულა ვაჟა-ფშაველა
ამ ჟრიამულის ხმაზედა.
უცქერის კარებიდანა,
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.

მომყავს ვაჟას ორი წერილიც სანდროსა და თედოსთან მოწერილნი. სანდროსთან მოწერილი წერილი გაბმით არის დაწერილი და ისევე მომყავს, როგორც არის დაწერილი ქაღალდის ნაკუწზედ. დაუწერია გზაზედ, როცა უნახავ ტფილისში მომავალი ბაჩანას შვილი პავლე და მისთვინვე გამოუტანებია.

„ძმაო სანდალავ,

მოგილოცავთ ახალ წელს, დაესწარით მრავალსა, თუ იკითხავთ ჩემს ყოფნას, ჩემ თავ-გადასავალსა, არა მიჭირს დღენამდე: ხინკალსა ვჭამ მრავალსა, ვაყოლებ ზედ მჟავე წყალს კლდიდან გამომავალსა. შენ და ვასო და შიო და ივანე თუშია ქიზიყელთა პადვალი ვისაც დაუფუშია, რომ დასხდებით და ჩემზე გეცინებათ გულშია—უჩურჩურებთ რაღაცას ერთმანეთსა ყურშია თან ილიკოურსა*) სვამთ გამოსდიხართ მუქთშია. ამ ეპისტოლეს გიძღვნით, მე მოვდივარ ვეღარა ვინ იცის გიხარიანთ, რომ მოგშორდათ ბეგარა? მაგრამ ერთხელც იქნება გესტუმრებით კიდევა—და მაშინა ჟამკარი თქვენი გადაირევა.

ეს ეპისტოლე გიძღვენით და თქვენ რომ არაფერს მიძღვნით ეგ რა მიზეზია. გადაეცი ჩემ მაგიერი მოკითხვა ჩემი რძლიდან დაწყებული ყველას, ვინც კი გვკითხავს ჩემს ამბავს, რა გულითაც ვინ მიკითხავს ღმერთმა ყველას იმ გულით უშველოს.

ჩვენ კარგად ვართ. დანარჩენს პავლე გიამბობს. ლუარსაბი თუ ჰნახო უთხარი წერილის პასუხი მალე მომწეროს.

შენი მოსიყვარულე **ძმა ვაჟა**“.

ვაჟას სხვა მრავალ კარგ თვისებასა და ნიჭიერებასთან ერთად ორი დაუფასებელი ზნე სჭირდა. ერთი—რომ არ იცოდა წყენა, როდესაც ეხუმრებოდნენ—დიდი ხუმრობის ამტანი იყო, როგორც ზემოდ ნათქვამიდანაცა სჩანს,—და მეორეც—არასოდეს არ მედიდურობდა და არ იწონებდა თავს მითი, რამაც იგი უდიდესი და თავმოსაწონი ჰყო სამშობლო ერისათვის. ყველაფერს დაიკვეხებდა: ღონეს, სმას, სხვა რამე „ბიჭობას“, მაგრამ რომ იმას დაეძრა პირი და დაეკვეხნა თავისი ნიჭით—ვერავინ ვერ იტყვის ამას. ისე უბრალოდ ეჭირა თავი ყველგან და ყველასთან, რომ უცნობი ვერც კი წარმოიდგენდა მისი პირველი ნახვით, რომ იგი უმზერდა სამშობლოს სიამაყეს.

ერთგან, სადაც პირველად ნახეს ვაჟა და დიდის ამბით კი მოელოდნენ თურმე მის ნახვას, ვერ მოეხდინა საზოგადოებაზედ სასურველი შთაბეჭდილება თავისი გარეგნობით, რაც არ გამოეპარა მას, და სიცილით მიამბო ამაზედ: ირაკლი მეფისა და ხევსურის შეხვედრა მამაგონდაო. ერთმა ხევსურმა პირველად ნახა ირაკლი მეფე და ასე მიჰმართაო: „შენ სახელ სჯობდის, მეფე, შენ ხვასაო“.

ერთხელ ჩემს სახლში დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ თავისებურად მჭერმეტყველური შესხმა უთხრა ვაჟას. ვაჟამ მადლობა გადაუხადა, მაგრამ თანაც გაატანა: მე ვწერ იმისთვის კი არა, რომ მაქონ და მადიდონო,—ვწერ მისთვის, რომ ჩესს გულს ვასიამოვნებ ამითიო.

ვაჟა ახალგაზდობაში მტკიცედ ადგა თვით განვითარების გზას. პატარა, მაგრამ ძვირფასი ბიბლიოთეკა ჰქონდა მას ჯერ ისევ მაშინ, როდესაც მასწავლებლად იყო ხევსურეთში. ერთ ღამეს მე მომიხდა იმასთან ყოფნა ხევსურეთში და შემომჩივლა: ვიღამაც დამაბეზღა და სახლი, სკოლის შენობაში, გამიშინჯესო, მაგრამ ვერაფერი მიპოვეს, რადგანაც ერთი ხევსურის სახლში მაქვს შენახული წიგნებიცა და ნაწერებიცაო. ხოლო, როცა მოეკიდა ცოლშვილიანობას და გაჭირებამ ჩაუკაკუნა თავში, ბიბლიოთეკის ადგილი მისთვის გუთანმა და ცელმა დაიჭირეს და თვით ისიც მაგრად მიჯაჭვეს მთის გულზედ. ამისთვის იგი დარჩა ბოლომდის ნამდვილ მთის შვილად და მთის სიყვარულთან ერთად შეინარჩუნა მთიულის სული და გული, რწმენა და გრძნობანი.

ვაჟასა სწამდა მამა-პაპათა სალოცავები-ჯვარი და ხატი და პატივსა სცემდა მათ ისევე, როგორც ყოველი მთიელი; ასე გაშინჯეთ—სწამდა მკითხავიც-კი. როცა პირველად გამოდიოდა ვაჟა სამწერლო ასპარეზზედ, მას ეკითხვინებინა, როგორც თვითონ მიამბო ამ უკანასკნელ დროს, იმ დროს განთქმული მკითხავი კოდელნინოსთვის, რომელსაც ეთქვა მისთვის: „სახელოვანი კაცი გამოხვალ შვილოვო“.

იტყვიან—ხანდისხან ენა უყივლებს ადამიანსო. სწორედ ასე დაემართა ვაჟასაც. ერთხელ მე მოვაგონე მას თელავში ცხოვრებიდან ერთი ამბავი და მან წამოიძახა: „ბიჭო, შენ ჩემ ბიოგრაფად გამოჰდგებიო!“ აკი ასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მე მაზედ 8 წლით უფროსი ვიყავი, მე ვწერ მაზედ ბიოგრაფიულ ცნობებს.

როცა სალიტერატურო სალამოს გამართვას უპირობდნენ წელს, ვაჟამ ახალი ტანისამოსი შეაკერვინა სალამოსთვის. დერციკს შალვარი თავის მასალით ფეშქაშად შეეკერნა და თანაც დაჰპირებოდა, რომ შემოდგომისათვის კაი შალს უშოვნიდა და ქულაჯას შეუკერავდა ფეშქაშადვე. მოვიდა შინ, თავის რძალს უჩვენა ნაფეშქაშარი შალვარი და გადასცა დერციკის დაპირებაც და თანაც ხუმრობით თურმე დაატანა: „ხომ არ გაიგო, რომ უნდა მოვკვდეო და იმისთვის არ დამპირდაო“.

ეს ხუმრობით იყო ნათქვამი. სინამდვილით კი იგი არა ფიქრობდა სრულიად სიკვდილზედ და არცა შიშობდა უკანასკნელ წუთამდე. პირიქით, სულ იმაზედ ფიქრობდა და მელაპარაკებოდა, რომ ამას იქით ზამთრობით თბილისში უნდა ვიცხოვრო ხოლმეო. ბევრი ნაწერები მაქვს აქა-იქა გაფანტული, უნდა მოვაგროვო, გადავშინჯო და შევასწოროვო. გარდა ამისა ეხლა აქ უფრო მეხერხება წერაო. ჯერ არ ჩავარდნილიყო ლოგინად, როცა წამიკითხა ჯერ დაუბეჭდავი პოემა „მანდილი“, რომელიც სხვა ნაწერებთან ერთად მისმა ძმა სანდრომ გადასცა ვაჟას შვილს ლევანს.

ვაჟა ავადმყოფი ჩამოვიდა მთიდამ. უნდოდა დაეწყო წამლობა, მაგრამ მაინც არ უტყდებოდა ავადმყოფობას და ჯერჯერობით ყური მიუგდო. ხოლო ავადმყოფობა უფრო გაუძნელდა მას შემდეგ, რაც სალამო გაუმართეს. იგი შამამჩივლოდა: „არა, რა მეკოხტავებოდა მე ასეთ-ასეთსაო, რომ ზიზილ-პიპილები ჩავიცვიო. სუმბუქად მეცვაო. სალამოს შემდეგ ბაღში მაქეიფესო და იქ უფრო გავცივდიო“.

მიმდინარე წლის 23 აპრილს ვაჟა ჩემთან იყო სადილათ. სადილზედ ჩამოვარდა ლაპარაკი ომის შესახებ. ვაჟამ წარმოთქვა ომის მსვლელობაზედ თვისი აზრი, რომელსაც არავინ დაეთანხმეთ. რომ შემდეგში მემეგონებინა მისთვის უსაფუძვლობა მისგან წარმოთქმული აზრისა, ავდექი და წავაწერე ომის ასპარეზის რუქაზედ მისი ნათქვამი. ხოლო მისი წინასწარმეტყველება აჰხდა უტყუვრად სწორედ მაშინ, როცა იგი ქართულ გიმნაზიის შენობაში წმინდა ნინოს სახელობის საავადმყოფოში იწვა. მიველ სანახავად და ვაუწყე, როგორ სავსებით შესრულდა მისი ნათქვამი და იმანაც სიამოვნებით წამოიძახა: „ბიჭი ვარ მე!“

**დეკან. ნ. ნათიძე.**

*) სამსონ ფირცხალავა.

*) კახური ღვინო. სანდროს თავისი სიმამრი ილიკო პეტრიაშვილი ს. ბაკურციხიდგან ყოველთვის უგზავნის ხოლმე ფეშქაშად კახურ ღვინოს. ამისთვის ვაჟამ „ილიკოური“ დაარქვა კახურ ღვინოს.

# რუსეთის ცხოვრება

პეტროგრადში კრება ჰქონდათ პურისა და ბულკის მცხობლებს. გამოირკვნა რომ სულ ერთიანად დახარჯულა ის ოთხმოციოდე ვაგონი ფქვილი, რომელიც მოსკოვ-ვინდავო რიბინსკის რკინის გზაზე გზის საწყობებში ჰქონიათ. პეტროგრადის ახლო-მახლო ქალაქები: პეტერგოფი, პავლოვსკი, ცარსკოე სელო და სხვები ფქვილს სთხოვენ პეტროგრადის მეფქვილეებს. კრებამ ამ თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად იცნო.

— ხმებია რომ სათათბიროს მოიწვევენ 25 სექტემბერსო და 1 ოქტომბრის შორისო.

**მუშაობა განახლდა.** ორი დღის განმავლობაში მოსკოვის ტრამვაები უძრავად იდგენ აქა-იქ. ტრამვაის მუშებს ვაგონი იქ დაუყენებიათ, სადაც გაფიცვის განკარგულება მათ ყურს სწდომია. ორი დღის შემდეგ გაფიცვა მოხსნეს და დამდგარ ვაგონებს გარშემო მოძრაობა გაჩაღდა. ავტომობილებით მოყავდათ ტრამვაების ვაგონებთან ვატმანები და სხვა მოსამსახურენი და საჩქაროდ მუშაობას იწყებდნენ.

**სტუდენტთა ყრილობა.** მოსკოვის საექიმო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებმა ლექციის შემდეგ კრება გამართეს. კრება შეეხო სახელმწ. სათათბიროს დათხოვნას: შემოვიდა წინადადება პროტესტის ნიშნად მეცადინეობა შეეწყვიტათ. ეს წინადადება უმრავლესობამ არ მიიღო.

# უკანასკნელი დღეები ვილნოში

ქუჩები დაცალიერდა...

მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი წინდაწინ გავიდა ქალაქიდან; რუსებმა დასტოვეს ქალაქი.

დარჩნენ მხოლოდ ნაწილი პოლონელებისა და ებრაელებისა, უმეტეს წილად ღარიბ-ღატაკნი. დიდი ფირმების განყოფილებებმა თავიანთი საქონელი გაზიდეს, მაღაზიები დაჰკეტეს, რკინის ფანჯრები ჩამოაფარეს.

პირველ საჭიროებათა საგნების ფასმა საარაკოდ მოიმატა,—მაგ. გირვანქა პური 10—12 კაპ. იყო. ამ ფასადაც კი ძლივს იშოვებოდა. ეკლესიების სამრეკლოებიდან ზარები ჩამოხსნეს და მოსკოვში გაზიდეს.

უკანასკნელ დღეებში ვილნო სამხედრო ბანაკს [illegible] სამხედრო ავტომობილებ[illegible] [illegible]კლეტები დაჰქრიან ყველა ქუჩებში.

პოლიცია გავიდა ვილნოდან ორი კვირის წინედ, ხოლო მისი ადგილი ქალაქის მილიციამ დაიჭირა. მილიციონერები 1,500 კაცამდეა, მათ შორის მესამედი ებრაელებია, რკინის გზათა გამგეობამ ყოველი ღონე იღონა, რათა მსურველთათვის მიეცა შეძლება ვილნოდან გასვლისა. ყველა გამოქცეულები, რომელნიც ვილნოში იმყოფებოდნენ, გაგზავნეს შიდა რუსეთის გუბერნიებში. დიდი სამუშაო დააწვა რკინის გზებს, ფაბრიკა-ქარხნების ევაკუაციის საქმეში.

უწინარეს ყოვლისა, გადატანილ იქმნა ქარხნები, სადაც სახელმწიფოს თავდასაცავ მასალებს ამზადებდენ. წინდაწინვე გადიტანეს: ბანკები, სასწავლებლები და სახაზინო დაწესებულებანი. ასევე გაიტანეს ყველა საუკეთესო ნივთები მურავიოვის მუზეუმიდან და საერო ბიბლიოთეკიდან

ქუჩებში გაკრულია სავალდებულო დადგენილება დვინსკის სამხედრო ოლქის უფროსისა, რომლის ძალით ყველა დაწესებულებანი და კერძო პირები ვალდებულნი არიან, თუ კი მათ აქვთ სპილენძეულობა, გადასცენ ამისთვის არსებულ კომისიას.

ტელეფონი არ მუშაობს, ყველა ტელეფონის მავთულები ჩამოხსნილია. გაიტანეს ყველა მოწყობილობა. ქალაქში სიბნელე გამეფდა.

ცეცხლის ანთება აკრძალულია, რომ ცეპელინებმა არ ისარგებლონ სინათლით და ყუმბარები არ დაუშინონ ქალაქს. ჰაეროპლანები ხშირად ზვერავენ ქალაქს, ხშირად ღამის წყვდიადში ისმის მოტორის ხმაურობა, გუგუნი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოპირდაპირის იმედი, ვილნოში ბევრი დავლა ჩაეგდო ხელში, არ გამართლდა. ყველა ღირებული საქონელი გაიტანეს, ქალაქში გამეფდა სიღარიბე. დღისით ყოველთვის მოდიან მოპირდაპირეთა მფრინავები.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რ[illegible]ინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

**წიგნის მაღაზია**

**„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).**

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—37)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძიძიგულები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ, მაილოვის-ძვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან